65

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი სხივი

№ 9

სახელმწიფო გამომცემლობა. 1926 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


| | | გვ. |
|---|---|---|
| 1 | ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე—**შანისა** | 1 |
| 2 | ახალგაზრდობას—ლექსი—**თ. ჩქარეულისა** | 3 |
| 3 | უხვი მასპინძელი—**გ. პარკაძისა** | 4 |
| 4 | ოკდაექვსი—ლექსი—**კ. ლორთქიფანიძისა** | 7 |
| 5 | სალამო ზღვაზე—ლექსი—**კ. მარიკანიძისა** | 7 |
| 6 | ჯემალი—**ჟ. მდივანისა** | 8 |
| 7 | ზღვას—ლექსი—**ე. პოლუ მორდუინოვისა** | 10 |
| 8 | ზაჰეს—**ს. ერთაწმინდელისა** | 11 |
| 9 | იდეისათვის—**ჯ. ლონდინისა** | 12 |
| 10 | პიონერები სკოლაში—**შ. შე-ლისა** | 17 |
| 11 | ჩვენი ძმები მსოფლიოში | 20 |
| 12 | მოსავლის დღე—**ნ. კეცხოველისა** | 22 |
| 13 | ფოტოგრაფიის გამოგონება | 24 |
| 14 | ბავშთა შემოქმედება | 27 |
| 15 | მეცნიერება და ტეხნიკა | 29 |
| 16 | თამაშობანი და გასართობი | 32 |

# წითელი სანიპი...

899.962.1(05)
ნ-63.











ეროვნული

გაზრდობას შორის. საბჭოთა რესპუბლიკებში დასავლეთ ევროპიდან ჩამოსულ მუშების და მუშა ახალგაზრდობის მრავალ დელეგაციას მიაქვს თავის სამშობლოში სიმართლე დედამიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ.

11 წლის განმავლობაში არასოდეს ისე მკვეთრად და ცხადად არ მოხაზულა ომის საზიზღარი აჩრდილი, როგორც დღეს.

უთვალავი კონფერენცია, ურიცხვი კონგრესი და დაუსრულებელი საზავო მოლაპარაკებანი იმართება ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის—მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად, მაგრამ ამაოდ. ახალი ომის ძალები უკვე ამოძრავდა ბურჟუაზიის საბრძანებლოში.

ომი ჩინეთში, მაროკოში, სირიაში, პუანკარეს მოქცევა საფრანგეთის მთავრობის სათავეში—ყველაფერი ეს ომის მაჩვენებელია, რომ მზადდება, ახალი კიდევ უფრო საშინელი; სისხლის ღვრა.

ამ საფრთხის თავიდან აცდენა მშრომელ ახალგაზრდობას შეუძლია მხოლოდ ერთიანი ფრონტის შექმნით მსოფლიო ბურჟუაზიის, მისი ომებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ.

მუშათა ახალგაზრდობამ იცის, რომ მსოფლიო ბურჟუაზია უცდის მოხერხებულ დროს საბჭოთა კავშირზე ახალი თავდასხმის მოსაწყობად.

პროლეტარული ახალგაზრდობა კარგად ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი დაუძინებელი მტრების რაკლაშია მოქცეული, რომ ჰოლიანი ფრონტი და კლასობრივი ბარიკადების გაძლიერება ძირითადი პირობაა საბჭოთა ქვეყნების ძლევამოსილი პროლეტარიატის დასახმარებლად.

საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობამ იცის, რომ საბჭოთა ქვეყანა ის მოწინავეა, რომელმაც გამარჯვებისაკენ უნდა წაიყვანოს მუშათა კლასი.

ამ რწმენით და ცოდნით გამხნევებული გამოდის ის დღეს ქუჩებში ლენინ-ლიბკნეხტის დროშებით, ახალი ომის, საბჭოთა კავშირზე ახალი გამოლაშქრების წინააღმდეგ, საერთაშორისო სოლიდარობის განსამტკიცებლად.

განსაკუთრებული ამოცანები დგას საბჭოთა კავშირის მშრომელი ახალგაზრდობის წინაშე.

მან იცის, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ცენტრია, რომ ამ ისტორიული ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის კულტურული და სამეურნეო დაწინაურება.

მე-12 შეტევიდან ახალი შეტევისაკენ—კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრის დასამხობად და ახალი ქვეყნის ასაშენებლად—აი, გზა, რომლითაც უნდა წავიდეთ ჩვენ.

**ᲨᲐᲜᲘ.**

## ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲘᲡᲮᲕᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ.

(ახალგაზრდობის საერთამორისო დღისათვის).

დღეს გავშალოთ დროშები სისხლში ამობანილი,
ვიმღეროთ და სიმღერით შევარხიოთ მიდამო,
და თვალები, თვალები მზეზე გამოტანილი
ითხოვენ, სიხარული უფრო მეტი გვინდაო!

თვალებს ცეცხლს რა ჩაუქრობს, ან გულს რა დააყუჩებს,
როცა კიდით კიდემდე ისმის ჩვენი სახელი!
და სიმღერა ორბივით გავაფრინოთ ქუჩებზე,
დე, ისმოდეს ნაღარის და ბრძოლისკენ ძახილი.

გულში რწმენა, იმედი, როგორც მძიმე ლოდია,
მასზე შიშმა ვეროდეს ფრთა ვერ გადაატაროს,
ხედავ, როგორ სიმტკიცით ნაბიჯები მოდიან,
ძველ ქვეყანას ელვარე ცა რომ რომ გადაფაროს

ვიცი, ეხლა ჩინეთში, ოკეანის ნაპირთან,
სადაც კებით დაჭრიან მსხვილი მანდარინები,
შენი სახე ყვითელი უნებურად ატირდა,
როს წაქცეულს დაგეცა ხმები ზიზღის, გინების.

მთელი დღე მათ ატარებ ორიოდე გროშისთვის,
და მუხლები გეღლება, მაგრამ ვინ შეგასვენებს?
დაეცემი და ისევ წამოდგები ქლოშინით,
კვლავ გარბიხარ ქუჩებზე და ცრემლები გასველებს.

მეგობარო, წამოდეგ, არ გაგიტყდეს გული,
მალე მანდაც დარეკავს ბრძოლის ხმები საზარი,
რა ვუყოთ, რომ დღეს შენი ბედი დაკარგულია,
და ტანზე გახვევია სევდა, როგორც მაზარა.

მალე შემოაბრუნებს ბედს ბრძოლების ყიჟინა,
მაშინ ფრთები შეისხი, ფრთები აღმურიანნ!
ის კერია, სადაც შენ დღეს მშიერი გეძინა,
გაღვიძე, დაუნთე კოცონები მზიანი.

რა დააცხრობს ზღვების გულს გრიგალგადატარებულს!
რა ჩაუკლავს სურვილებს გაცოფებულ ღელვისას?
ჩვენი გულიც ზღვა არის, ღელვას დანატრებული,
ძლიერია მისი ხმა, ვით გავარდნილ მეხისა!

წინ გავწიოთ, რიგები შევაერთოთ რიგებთან:
წინ გავწიოთ, მიგველის მხარე გასაკვირველი!
და როცა მსოფლიოზე ბრძოლის გრგვინვა იქნება,
იმ ბრძოლაში, იცოდეთ, ჩვენ ვიქნებით პირველი.

თამარ ჩქარეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უხვი მასპინძელი

— კანონის ძალით გიბრძანებთ, კარი გააღოთ. დუგ, დუგ, დუგ... კაკ, კაკ... უსწორმასწორო ბრახუნით ურტყაოდა ურიადნიკი მიხელა ალექსი ღობიაშვილის სახლის კარს. თვით ალექსი იმ ღამეს გარეთ სათვივის სახურავზე იწვა და ათას ფიქრში გართულს ჯერ არ დასძინებოდა.

ურიადნიკი მიხელა.

— ვინა ხართ, ხალხო, რა დროს სტუმრობაა ამ შუაღამისას?!. თქვენ რომ კეთილი ადამიანები იყოთ, ასეთ უკუნეთ სიბნელეში არ მეწვეოდით... აუ, ჰაუ, აუ, ჰაუ, აუ... ეს ოხერი ძალი რაღამ ასტეხა, დაიკარგე მანდედან, შე ტიელო, შენა...

— გააღეთ კარი, თორემ გეფიცებით ჩემს სიყრმეს, დავამტვრევ და ისე შემოვალ სახლში.

— ვინ გინდათ, კაცო... აგერ აქ არ ვარ ალექსი ღობიაშვილი?

— ალექსი, შენა ხარ? აგრე იტყოდი, შე მამაცხონებულო, კარებს რაზე გვამტვრევინებდი.

— რისთვის გარჯილხარ, მიხელა, ამ უდროო დროს, რა გინდა ჩემგან?

— ჩამოდი ძირს და ყველაფერს გაიგებ.

— ჩქარა!

— ცვენ სენთვის არა გვცალიან, ცამოეთერი დროზე, თორე იმდენ მიიღებ, რომ...

— რათ მიწყრები, ტატე, მგონი შენთან კარგი სალამის მეტი არა ვიცი რა და...

საცვლების ამარა, ტანის შშუშვნით ალექსი ღობიაშვილი მალე უკვე ყველგან კარგად ცნობილ ურიადნიკ მიხელას და მისი ერთგული ჩაფრების ოს ტატე და სინოს წინაშე იდგა. ალექსი უკვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე: პოლიციის მოხელენი მის დასაპერად იყვნენ მოსულნი.

— აბა, გააღე კარები და შეგიძეხ სახლში, — კვლავ მიმართა მიხელამ ალექსის უკმეხად და თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ერთი მადიანად წაუთაქა თავში.

— რას მერჩი, შე კაი კაცო, რა დაგიშავე, უმიზეზოდ რომ მცემ შრომით მოქანცულ და დაღალულ ადამიანს.

— ბევრსაც ლაპარაკობ?

— ბუნტოვჩიკია და ლაპარაკი ეკოდინება, მა რა!

— სენ მგონი წერას აუტანიხარ. გააღე მეთქი სახლის კარები!...

ძალით მომხდურმა ჩაფრებმა საჭიროდ დაინახეს ალექსის წინასწარ დაშინება და ყველამ ერთად მათრახებით ტყაპა-ტყაპი აუტეხეს ტიტველა ტანზე.

— დეეედაა... მამაჩემს სცემენ.

— გაუღე კარი, კარი გაუღე... როგორც იყო კაბა ჩაიცვა მაშომ, ცალი ხელით გვერდში ამოიფარა თავისი პატარა ბესო, რომ კარების ორივე ფიცარი უცბად კედელს მიეხათქუნა და ალექსი ხელებგაშლილი პირქვე ფილაქანის იატაკზე უგონოდ დაეცა.

— ეს გინდოდათ, უსირცხვილონო... მოჭკალით, მოჭკალით..



რა დაგიშავე, უმიზეზოდ რომ მცემ შრომით მოქანცულ და დაღლილ ადამიანს...

— ვაიმე, მამა, ჩემო მამაა!

— ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხი... უხეირო, ლობჩო ყოფილხარ, ვიდაცა ხარ. მეტი თუ არ შეგეძლო, ხალხის მეთაურობას როგორ იჩემებ? წაქცეულს კიდევ ჩაარტყა წელში წიხლი ტატე ჩაფარმა და ცოცხალმკვდარი ალექსი ფეხზე დაიყენა. აი, იყავ აგრე...

— გვიჩვენე ახლა, სადა გაქვთ დამალული იარაღების საწყობი: ბომბები, ტყვია-წამალი, თოფები, პროკლამაციები, აკრძალული წიგნები და სხვა.

— ბომბები, ტყვია-წამალი, თოფები?

— ძალიან არ გიკვირა?

— ჰო, ჰო...

— დიახ, დიახ...

— იწამეთ პატიოსანი სიტყვა... ჩემს სახლში ქათმის დასაკლავ დანას ვერ იპოვნით.

— გვითხარ, მაშ, სად და ვისთან გაქვთ იარაღების საწყობი?

— არ ვიცი, არ გამიგონია, არ მინახავს...

— დაარტყით მაგას მათრახები. მოიცათ, გავჩხრიკოთ ჯერ სახლკარი...

მიხელამ წაავლო ხელი იქვე ტახტზე მდგომ ოდნავ მბეუტავ სათუნუქეს და იწყო ოთახის აქოთება-გადატრიალება. ერთ წუთას მან და მისმა მხლებელმა ჩაფრებმა სახლის მთელი ავეჯეულობა ყირამალა დააყენეს. თვითეული მათგანი ხელითა და ფეხითაც კი მუშაობდა, ურეკდენ, ფათურობდენ, მიწასაც კი სჩიჩქნიდენ, ძირიანად სთხრიდენ.

— ვიპოვნე, როგორც იყო ვიპოვნე საწყობი! სიხარულით ათრთოლებულმა სინომ მარდად ჩოხის კალთები შეიკეცა, ჩაჯდა ერთ ადგილას და ავანდასტით მიწას ღრმად დაუწყო თხრა.

— თქვენ გენაცვალეთ... მანდ მხოლოდ ქოცა გდია, ღვინის ქოცა,—უფრო თავის გამართლების სურვილმა უნებლიედ ათქმევინა მაშოს ზედმეტი სიტყვა, თუმცა მას გადაწყვეტილი ჰქონდა ხმა არ ამოეღო იმ დრომდე, სანამ პოლიციელნი თვითონ არ დარწმუნდებოდენ ალექსის ოჯახის სისწორესა და სიმართლეში.

— მართალია პატარა ქვევრი ყოფილა, ღვინით სავსე,—დაემოწმა დიასახლისს სინოც, მაგრამ ესეც საეჭვოდ იცნეს დაუპატიჟებელმა სტუმრებმა.

— ეშმაკია, ეშმაკია ალექსი. სწორედ ქვევრის ძირში ექნება ჩამალული, კარგად ნახეთ,— ვითომდა გამჭრიახობითი, მეტის შესმენილობით სთქვა მიხელამ, მაგრამ გულზე კი მას სიხარულის ტალღამ გადაჰკრა, რადგან კარგად იცოდა, თუ რა მოსდევდა ქვევრით სავსე ღვინოს.

— ესეც კაი საქმეა, სენი წირიმე... რა ვუყოთ, ღვინო ხომ არის, თუ სხვას ვერას ვნახავთ... ბატონო მიხელა, უბრძანე ცოტა შეეჭაკუშკდეთ.

მიხელამ რჩევა მოიწონა, ხოლო ღვინის ჭაშნიკის გასაგებად სინოც მარდად დატრიალდა. ღვინო მართლაც საუცხოო ღირსებისა გამოდგა, რამაც სტუმრები გაახარა და ყველა კარგ გუნებაზე დააყენა. დაფაცურდა მაშოც. გაიშალა სუფრა. პური, ხახვი, მწვანილი, ცოტაოდენი ყველი და ერთი კარგი ხელადა ღვინო. მალე სუფრაზე მოხრაკული ვარიებიც გაჩნდა.

— დიასახლისო, იქნება მეავე რამ გქონდეთ საქმელი, მოიტანეთ, თუ გინდა, რომ ალექსი სამუდამოდ არ დაგეღუპოს და ჩვენც კარგი სიტყვა ვთქვათ იმაზე. ურიდნიკმა მიხელამ ახლა გემოვნების ამშლელი საქმელიც მოითხოვა და, მეტი რა ღონე იყო, ალექსის ოჯახობას ეს სურვილიც [illegible] კმაყოფილებია მისთვის.

— ბესო, შვილო, წადი ბაღში და დაკრიფე სალათის ფოთლები. აბა, ჩქარა. მანამ მე კიდევ ძმარს მოვნახავ, წვანილს, ხახვს დავჭრი,—აშურებდა მაშო თავის შვილს ბაღში წასვლას, მაგრამ პატარა ბესო სულ სხვა ფიქრებში იყო გართული.

— ვაი თუ ბაღში გამიტყუონ და ამ დროს მამაჩემი წაიყვანონ, მაშინ როგორღა ვუშველო მას,—მსჯელობდა თავისთვის ბესო და დედის წინადადებას ვერასგზით ვერ დათანხმებოდა.—მაგრამ, ჩემი გაუგონრობით რომ გაწყვრენ და უფრო ჯავრი იყარონ, მაშინ ხომ დაიღუბა ყველაფერი?...

გაიშალა სუფრა.

ბესო დაჟინებით ეკითხებოდა თავის თავს და ისევ დედის სიტყვის გაგონება ირჩია. ის სწრაფად გაჩნდა ბაღში, მარდად დაგლეჯა სალათის ფოთლების ერთი კვალი, იქვე რუს წყალზე გარეცხა და მალე წვრილ ფოთლებად დაჭრილი თავის დედას თიხის დიდ ჯამში ჩაუყარა. სუფრის დამამშვენებელი სალათა მიერთვა სტუმრებს.

— იფ, იფ, იფ... რა მშვენიერია, რა გემრიელია.

— სასიამოვნო საქმელია.

— ჰაი, ყოჩაღ, ყოჩაღ, ბესო. კარგი ბიჭი ყოფილხარ. ერთხმად მოუწონეს ყველამ ბესოს სალათა.

— დალიე შენც, ალექსი, გზათ მიმავლები ვართ. ამალამ გაუთენებლივ უნდა მეჯვრისხევში ავიდეთ, რომ ხვალ გორში არ დაგვგვიანდეს,—მიაწოდა ჯამით სავსე ღვინო მიხელამ ალექსის და თან ისეთი თვალებით დააშტერდა, თითქოს ხვალ მის საჯაროდ გაყიდვას ეპირება და მომავალი ჯილდოს მიღების მოლოდინში უდიდესი სიამოვნების წუთებს განიცდისო.

— არა, ეგ არ მოხდება! ცოცხალი თავით მამაჩემს არვის დავანებებ,—ლაპარაკობდა გულში, ტუ-

ჩემს აკახეხებდა, მუშტებს კუმშავდა ჯერ ისევ ნორჩი, პატარა ბესო.

— დამშვიდდი, შვილო, გულისთქმას ნუ აჰყვები... იქნება გადმოგვხედოს ჩვენმა განჩენმა, — ანუ-გეშებდა ბესოს მაშო.

— მოიტათ ღვინო. ხედავთ, ხელადა ცარიელია.

— მე დავცალე ჯამი და შენ კი საბადლო არ დაგილევია, ტატე.

— ბიწოს, მიხელა დაიძინა?

— დაღლილ ჯერა, — სინო მაინც არ ეშვებოდა ტატე ჩიფარს.

— ხორხუ, ხორხუ. ძერ თვალი მოატყუო... ზეზე მდგომი ოსი ტატეც დაეცა ძირს ტახტზე და იმანაც მოულოდნელი ხვრინი ამოუშვა.

წადი და შეაფარე თავი სხვა კვეყანას...

— ფუი თქვენ ვაუკაცობასა! წაეალ და მარტოკა დავლევ ღვინოს ზედ ქვევრის თავზე. ალექსი, შენ კი... უყურებ ამ ტყვიებს... ფეხი არ მოიცვალო სახლიდან. სინომაც ვეღარ შესძლო ქვევრამდის მისვლა, რომ ძილად მივარდნილი, მუხლების ჩაკეცით, ისიც იქვე დაეცა მიწაზე.

ამნაირად ურიადნიკ მიხელას ხელში ტყვედ ჩავარდნილ ალექსის „ბა ბაეხსნა, ის თავისუფლდებოდა. თითქოს უნდა გახარებოდა ალექსის ოჯახობას საქმის ასეთი შემოტრიალება, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა ამბავი მოხდა. მართალია, მიხელა თავის ჩაფრებთან ერთად ძალიან გაძღა ღვინით, უგონოდ მთვრალებს შეიძლება ბევრი რამ უბედურება დამართოდათ, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ სამივე ერთად ძილად მივარდა, ალექსი და მისი ოჯახობა საშინლად დაღონა და დიდ საგონელებში ჩააგდო.

— ჩემს სახლში, ჩემს პურმარილზე, ერთ მუჭა ვიდესთ რამე, ხომ დაგიღუპე და ოჯახი გაბინალეს. ბევრიც რომ ვიფიცო, ვინ დაიჯერებს ჩემს სიტყვას. მეფის მთავრობამ მგონი არც დიდი და არც პატარა აღარ დაგვინდოს, — მსჯელობდა თავისთვის ალექსი და ცდილობდა გაეგო, თუ რა მიზეზით დაეძინათ მიხელას, ტატეს და სინოს.

— არ გეყურება, დედაკაცო, შენ ხომ არა იეშმაკე რა და განგებ მოწამლე ეს ხალხი, ვითომდა ჩემს დასახსნელად და გასათავისუფლებლად?

— ბესოს გაზრდამ, ფიქრადაც არ მომსვლია. ღვინო, საქმელიც — ყველაფერი კარგი იყო.

— საკვირველია. ღვინით დათრობა მინახავს, მაგრამ ასე უცბად კინწის მოწყვეტა და დაძინება არ გამიგონია. შვილო, ბესო, სალათის მაგიერ იქნება სხვა ბალახი რამ მოკრიფე და ვაჭამეთ ამ ხალხს?

— მამა, მოვკრიფე ის, რაც კვლებში ეთესა.

— სად, რომელ კვლებს ამბობ?

— დიდი თუთის ხის გასწვრივ კვლებში, სხვაგან სად უნდა დამეკრიფა.

— უი, დამიდგეს თვალები. იმ კვლებში ხომ ხაშხაში სთესია. ძილი ხაშხაშის ფოთლებმა იცის. მერე რამდენი ჭამეს სალათა. აკი ვთქვი, მაშ რა არის, თუ არა ხაშხაშის ფოთლები. ნახე, ალექსი. ამასთანავე ერთად მაშომ ერთი მუჭა დამარებული სალათა ამოიღო ჯამიდან და საჩვენებლად ალექსის მიაწოდა.

— ჰა, ჰა, ჰა, — სიცილ-ხარხარით მოეხვია მაშო თავის შვილ ბესო. გენაცვალოს დედა, ბესო! უხვი მასპინძლობა გაგიწევია ჩვენი მტრებისათვის. მათ დაეძინათ და არ დახოცილან კი.

— მამა, ჩემო მამა! აწი გზა ხსნილი გაქვს. წადი და შეაფარე თავი სხვა ქვეყანას, სხვა სოფელს და ქალაქს. თითქოს თავის ხელით ახადა ბორკილები მამას, ბესო ჩამოეკონწიალა ყელზე ალექსის და დაუწყო მხურვალედ კოცნა.

— შვილო, ახლა მაგის დრო აღარ არის, გაუშვი, წვიდეს ჩქარა. ამ სულთამხუთავებს სძინავთ, მაგრამ თუ ერთ-ერთმა მათგანმა გამოიღვიძა, მაშინ ყველაფერი დაგვეღუპება.

გულის ტკივილით ჩამოაცილა მაშომ ბესო მამას, სიჩქაროდ მორთო ალექსი, ხელსახოცში ერთი პური გამოუხვია და ამნაირად გაისტუმრა ის შორეულ გზას.

**გრ. პარკაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცდაექვსი:

(ბაქოს კომუნარები).

ღამეა მრისხანე,
ღამეა გულშავი,
გრიალით მიჰქრიან
შეშლილი ქარები;
უდაბნო ეხვევა
ქვიშების ბურშია,
ნაბიჯზე ვერ ამჩნევს
ვერაფერს თვალები.

ო, ასეთ ღამეში
ოცდაექვსს გაუპეს
მახვილით გულები—
ბრძოლების მწყურვალი.
ამით, სამუდამოდ,
ეგონათ, დაღუპეს
მშრომელთა ოცნება—
ცეცხლივით მხურვალი.

დახვრიტეს და სისხლით
მოირწყო უდაბნო,
სისხლით გაილეშენ
ყვავნი და ყორნები,
შემდეგ მათ სამარეს,
ღიას და უდაფნოს,
ქარმა მიაყარა
ქვიშების გორები.

მოვიდენ დღეები
გადამწყვეტ ომების,
გაისმა ძახილი
მხარიდან მხარეში—
ბრძოლისთვის წამოდგენ
მშიერი მონები
და იწყეს ქარივით
მრისხანე თარეში.

დროშა, ოცდაექვსის
სისხლით გაბანილი,
ბრძოლათა ქუხილი
როცა დატრიალდა,
მშრომელთა ხელებით
მედგრად ატანილი
მაღლა გაიშალა,
მაღლა აფრიალდა.

და ეხლა, როდესაც
ჩვენი მზე ელვარებს,
კივილით უდაბნოს
ქარები მიჰქრიან —
უნდათ ოცდაექვსის
სილიან სამარეს
ახარონ: აღსრულდა
დღეს თქვენი ფიქრია.

კ. ლორთქიფანიძე.

# საღამო ზღვაზე.

მიიმალა მზე ტალღებში
და იზიდავს თავის სხივებს,
ზღვა ლურჯთვალა, ზღვა ანკარა,
ცის ტატნობზე დაციმციმებს!

—

შეინდისფერად შეიღება
გამქვირვალე ცის კამარა,
ზღვაზე ნავი მოცქრიალებს,
ფაფუკ ტალღებს არღვევს ჩქარა.

მეზღვაური საპეს უსვამს,
იფანტება ირგვლივ შხეფი,
ზღვა ჩამოპკავს ვერცხლის ცრემლებს,
ტალღებისგან ანაჩქეფი!

—

ზღვა ქანაობს, ზღვა ირწევა,
ტალღას ტალღა ეფინება,
ცას სიწითლე დაეკარგა,
მზის კოცონი ნელა ქრება.

დ. მარიჯანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯემალ.

ბათუმის ერთ განაპირა კუთხეში, ქალაქ გარეთ, სადაც ღარიბი აჭარლების დაბალი სახლები აქა-იქ გამოიყურებიან, ზღვა რკალივით შეკრილია და თითქოს ხელოვნურად ამოშენებულ კლდის ნაპირს ზლაზვნით ეხეთქება მოგუბებული ტალღები, შემდეგ მიდის დაქანება, საიდანაც გამოსჩანს სილიანი დაბალი ნაპირი, ზღვის ლოკოკინის ნიჟარებით და



კლდის ნაპირიდან ჯემალი ტყვიასავით გადაეშვა ზღვის სილრმეში..

ათასგვარი ჭრელი ქვებით მოვარაყებული მცხუნვარე მზივ სხივებზე.

შავი ზღვა მეტად ვეშაპია, დაურიდებელი და შეუწყნარებელი; ხშირად მორცხვი და უენები პატარა ბავშვივით, მაგრამ, თუ გადირია, აღელვდება, გალესილ ზედაპირს მოღრუბლავს და მოძრავი მთაგრეხილები ნაჭირებზე წყლის დორბლებს გადმოანთხევს. ვეი მას, ვინც ამ დროს მას ხელში მოხვდება, ვაი მას, ვინც მასთან ამ დროს შებრძოლებას გბედავს: გაუმაძღარი შავი ღრმა მუცელი ბევრს დაიტევს, ბევრი გადაუყლაპავს.

გაზაფხულის თბილი დღე იყო.

მადლიანი მცხუნვარე მზე ზღვის ამწვანებულ ნაპირებს ეალერსებოდა. ზღვის წყნარ ზედაპირზე მზე ბანაობდა და ოქროს თმას ხან დაკარგავდა პატარა ტალღებში, და ხან ზერელედ ატივტივებდა.

წყნარი ზღვა იწვევდა ყველას: — აი, ხომ მიყურებ, როგორი კარგი ვარ, როგორი ალერსიანი, — გაიძვრე ტანზე და გადაეშვი ჩემს სილრმეში.

— ეი, ბიჭებო, გამოიქეცით, რაი გაზაფხულდა, ზღვაზე ორჯერ მეტად არ მიბანავნია, — გადასძახა ჯემალმა პატარა ძმაბიჭებს და ნაპირისაკენ გაიქცა.

იქ, საიდანაც გამოსჩანს სილიანი დაბალი ნაპირი ზღვის ლოკოკინის ნიჟარებით და ათასგვარი ჭრელი ქვებით მოვარაყებული, ჯემალი ამხანაგებით შეჩერდა და ტანის გახდა დაიწყო.

ჯემალ ცოვაძე თოთხმეტი წლის აჭარელი ბიჭია, მთელი კუთხის ბავშვების მეთაური, ცოცხალი, ლამაზი სახით, ტანმოქნილი. მეზობლები მეტ სახელად „ზღვის შვილს“ უწოდებდენ. ბევრჯერ უნახავს ზღვის სიღრმე. წყლის მთაგრეხილები, უნახავს ბევრი დამხრჩვალი და ბევრი გადარჩენილიც. მას ზღვის არ ეშინია, თითქოს ზღვაც იცნობს ჯემალის მკლავებს და მის მხიარულ ბავშურ ალერსს.

ტანგახდილი ჯემალი ზღვის პირას მივიდა, პეშვით წყალი თავზე დაისხა და ფეხები დაისველა, შემოტრიალდა და მარჯვნივ გაიქცა. თითქოს ხელოვნურად ამოშენებული კლდის ნაპირიდან ჯემალი ტყვიასავით გადაეშვა ზღვის სილრმეში და დაიკარგა. ამხანაგებს თუმცა არ უკვირდათ, მაგრამ ისინი მაინც შეაშფოთა ჯემალის დიდი ხნის ყურყუმალამ და თვალებდაყეტილი მისჩერებოდენ წყლის ზედაპირს; რამოდენიმე საკენით დაცილებული იმ ადგილს, სადაც მოელოდენ მის გამოჩენას, ჯემალი წყალში შეტრიალდა,

ამხანაგებიც შევიდენ წყალში.

ტალღას შეეთამაშა... ნიჟარული კიბელით მიჰყვებოდა ზღვის სილრმეს.

ჯემალი თანდათან პატარავდებოდა და დაბოლოს მთლად დაიკარგა ამხანაგების თვალიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

მხიარულ ჯემალს თითქოს უნდოდა, მთელი ზამთრის განმავლობაში დაწყნარებული ტანი დღეს აემოძრავებია, რომოდენიმე თვის ანგარიში ზღვისთვის ერთ დღეს ჩაებარებია... ხან დასვენებული ტიურით, ხან მხარულით და ხან სხვა ცურვით მიდიოდა ის ნავსაყუდლისკენ.

ჯემალი მხიარულია, ფრთებშესხმულია...



ჯემალი ზღვის უფსკულში ჩაყურყუმალდა...

ასხია ზღვის ფრთები, რომლის კიდეები თვითონაც არ იცის სად თავდება.

ეთამაშება მცურავ ნაფოტებს, ტალღების ტრიალს და ზღვაში მობანავე მზის სხივების ოქროს თმას.

უეცრად ჯემალს ფეხებზე რაღაც დაეტა[illegible] წყალში გაისრიალა; ჯემალი შეშინდა, ტანშ[illegible] ერუანტელმა დაუარა, უეცრად მოაგონდ[illegible] ბაბუასი, რომ წყალში რაღაცამ ერთ ვაჟკაც[illegible] მოწყვიტა და ზღვამ დამხრჩვალი ვაჟკაცი ნ[illegible] გადმოაგდო; ყველა ეს ერთად ჯემალის თავ[illegible] აირია, თმა ყალყზე დაუდგა, მოქნილი მცურავი მკლავები და ფეხები გაუშეშდა.

— ვაიმე, დედავ... — და ჯემალი ზღვის უფსკულში ჩაყურყუმალდა.

* * *

— ეი, ბიჭო! რაია ის, ტალღამ რომ ამოისროლა?—ჰკითხა ამხანაგს მენავემ, რომლებიც ზღვაზე გამოსულიყვნენ.

— მაგი... ის უნდა იყოს, პატარა ბიჭი რომ მოცურავდა. თუ იხრჩობა საწყალი,—მიუგო მენავემ ამხანაგს და ნავიდან გადახტა.

ჯემალი წყალმა რამოდენიმეჯერ ამოისროლა და ისევ დაძირა. მენავე თანდათან უახლოვდებოდა, ბოლოს ხელი სტაცა ჯემალს, წაიყვანა ცურვით და ორივემ ჩადვეს ნავში.

— ეს ხომ ჰუსეინის ჯემალია,—ამოიძახა ერთმა მეორეს.

— ჰუსეინის ჯემალი? მერე იმან ხომ კარგი ცურვა იცის.

— ალბათ რაიმე შეემთხვა, არა უშავს რა, დავიდოთ საჩქაროდ თავდაღმა.

მენავეებმა ჯემალი თავდაღმა დაკიდეს და მუცელზე ცემა დაუწყეს.

ჯემალი პირიდან მარილიან წყალს ანთხევდა.

თანდათან სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა.

— არა უშავს-რა, აბა, საჩქაროდ ქოხში.

მენავეებმა ნიჩბები მოუსვეს.

გონებადაკარგული ჯემალი ნაპირისკენ მოჰყავდათ.

ნაშუადღევის სამი საათი იყო, როდესაც ჯემალი გონს მოვიდა. როდესაც დაინახა თავი მენავეების ქოხში, ძლიერ გაუკვირდა.

ზღვა ისევ წყნარი იყო, მზე ისევ აბანავებდა ოქროსფერ თმას გალესილ ზედაპირზე.

ჯემალმა წამოიწია.

— აქ რა მინდა... ვინ მომიყვანა?— იკითხა მან.

— ვინ მოგიყვანა, ვაჟკაცო?— სიცილით მიუგო მენავემ.

— რა დაგემართა, ბიჭო, როგორ მოიქეცი ასე — ჰკითხა მეორემ.

ფილიალი



ეი, ბიჭო, რაია ის?

— ჰო! მართლა,—გაიხსენა ჯემალმა,—რაღაც დამეტაკა ფეხებზე სრიალა ლორწოიანი კანით, წყალში გადამბრუნა და სხეული შიშით გამიშეშდა. ოხ, რა შემაშინა! ზღვაში არასოდეს აღარ ვიბანავებ. საშინელი რამე იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხა... ხა... ხა... ხა! ლორი იქნებოდა, ხომ არ შეგეპამდა... რამ შეგაშინა? შეეარცხვინე შენი ვაჟკაცობა. ტყვილად გეძახდენ კარგ მცურავს? ცინებდა მენავე ჯემალს.

ჯემალს კი ისევ დახრჩობის ამბავი აგონდებოდა: სრიალა ლორწოიანი კანი, რომელიც ფეხებზე დაეტაკა და წყალში შეატორტმანა.

ტანში ცივი ჟრუანტელი უვლიდა, ძულდა ზღვა და მისი უძირო სივრცე.

— აბა, ჯემალ! მამაშენი მოვიდა! გაუგია შენი ვაჟკაცობის ამბავი.

ჯემალი მამის დანახვაზე შეშფოთდა, თვალები მოარიდა, თავი ჩაღუნა და სახეზე ხელს იფარებდა.

— იგრძენი თუ არა, რომ გელაპარაკებოდი, ზღვასთან თამაში არ გარგებს მეთქი?.. ხომ დაიხრჩობოდა, რომ ამ კეთილ ხალხს არ ეშველა,— ჩაცეცხლებოდა მამა თავჩაღუნულ შვილს.

იქ, სადაც გამოსჩანს სილიანი ნაპირი, ზღვის ლოკოკინის ნიჟარებით და ათასგვარი ჭრელი ქვებით მოვარაყებული, ჯემალი ქვაზე წამომჯდარიყო და დარდიანი თვალებით გასჩერებოდა ზღვას და მასში მობანავე მზის სხივების ოქროსფერ ობას.

ჯემალის თვალები ფიქრებიდან ხან ფართოვდებოდა და ხან ვიწროვდებოდა. ის მისჩერებოდა მობანავე ამხანაგებს, რომლებიც მასთან ცურვაში აარა იყვნენ, მაგრამ ჯემალი დღეს ყველაზე ნაკლები მოცურავეა, რადგან ეშინია. ზღვის ეშინია, მაგრამ ზღვა უყვარს დედასავით. ახლა აღარ ცურავს...

ჯემალს თვალები თანდათან აევლება, ცრემლები მოადგა და ქვითინი მორთო.

— რა ვქნა, ცურვა მინდა, ვიცი, მაგრამ მეშინია... მეშინია ლორწოიანი კანის, ფეხებზე რომ დამეტაკა... ზღვა მიყვარს დედასავით, ზღვის მეშინია.

**ე. მდივანი.**

# ზღვაპ.

რარიგ მიყვარხარ, ზღვაო ლურჯო და მშვენიერო,
როგორ გიხდება ბრგე ტალღების ატლაშუნება,
შენზე იფრქვევა მზის სხივების ელვა და ფერი,
და შენ შეგხარის გადაშლილი ირგვლივ ბუნება...

—

როდესაც შენს მკერდს დაემჩნევა ლურჯი ჭრილობა,
და ქაფურ ტალღებს გადმოდენი ბრაზით, ხმაურით,
მე გული მიცემს და მგონია, რომ დაღლილობა
დაგაუძლურებს, შეგეცვლება ძალა ზღვაური.

—

მაგრამ არ დრკები და ქვიშიანს, დახრილს ნაპირებს
ხან ეჩხუბები და ხან კიდევ ეთამაშები,
სასუთარ ფსკერის მიტოვებას თითქოს აპირებ—
ტალღებს მიჰყვები, საბრძოლველად ყველგან გაშვებულს...

—

ამ დროს შენ უფრო ამაყი ხარ და დაუნდობი,
გაათამაშებ, თუ შეხვდები სადმე იალქნებს,
ახარებ უგზოდ გადმოვარდნილს ტალღების დობილს,
აფთარ ქარიშხალს, შენს გულმკერდზე გემებს რომ აბნევს!

—

ღრუბლების წყება გადაუვლის შენს ცას ამღვრეულს
და მეგობრულად გადმოგხედავს მაღალ შუბლიდან,
გიცქერს შორიდან ფრთაგაშლილი, გიცქერს დაღვრემით,
მუდამ მოლხენით შენს დიდებას ქედს რომ უხრიდა...

—

ო, მე მინახავს შენი დინჯი გამოდარებაც,
როცა ჩუმი ხარ და სიმუნჯეს ვეღარ ინახავ,—
მაშინ ცაც არის შენებრ ლურჯი და მზისთვალებას
შორიდან უმღერ ზვირთთა ხმებით სიმღერას ახალს...

—

მაგრამ აღელვდი, შენი მკერდი ხომ ძლიერია,
ააბობოქრე ულეველი ტალღათ ღვარები,—
შენი ბრაზიც და მრისხანეებაც მშვენიერია;
ასეთ დიდებულს მუდამ გეტრფი და მეყვარები...

**ე. პოლუმორდვინოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზ ა ჰ ე ს.

(რამდენიმე ბავში გამოდის სცენაზე მარშით, მოეწყობიან წრედ, ალაგ-ალაგ მღერიან)

1. კომუნის ნორჩი ყვავილები,
2. ჩვენ,
3. დღეს
4. ვულოცავთ

**ყველა.** ზაჰესს.

(აქ შეიძლება მღერით)

შენ მოსტაცე მზეს
სინათლე
და
დედამიწაზე აღანთე ალი,

1. ზაჰეს,

**ყველა.** ასწიე ჩირაღდანი
და
სიბნელეს უტევ მრისხანე ძალით.

2. და...
3. გამარჯვებული
4. საბჭოთა
1. ფედერაცია
2. ჰხარობს
3. მით,
4. რომ
1. წინ
2. მიიწევს

**ყველა.** ელექტროფიკაცია.

1. ამხანაგებო!
2. ერთხელ
3. კიდევ
4. დღეს
1. გაუმარჯოს

**ყველა.** ზაჰესს.

(მღერა)

ო, ზაჰეს, ზაჰეს, შენი შეენება
საქართველოს ჰფენს სინეტარო ალს;
და მუშურ-გლეხურ ქვეყნის შენება
სიმღერით ზე სწევს ინ-ტერ-ნაც-ი-ო-ნალს...

1. და
2. მთელი
3. მსოფლიო
4. ლაპარაკობს

**ყველა.** დღეს

1. შანზე,

**ყველა.** ზაჰესს.

(მღერა)

მტკვრის ურჩ ხმაურში ჰქრება წყვდიადი,
დიადი არის შენი მიხწევა;
ელავს ვარდისფრად შორს განთიადი,
ჩვენი ყიჟინა მაღლა იწევა...

—

ელექტრონებით ულეწ ბნელს სალტას,—
შენის შეტევით მტერი ზე აგეს;
წითელი დროშა იბერტყავს კალთას
და ვყივით: „ვაშა, დიდება ზაჰესს“.

(მარში—ფარდა)

**ხეზმან ერთაწმინდელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იდეისთვის

I

არავინ არა იცოდა რა იმის შესახებ, მით უფრო თვით „ჯუნტა“-ს[1] წევრებმა. ის გულმოდგინეთ მუშაობდა მექსიკის მომავალი რევოლუციისათვის, მაგრამ აჯანყებულებს მაინც არ უყვარდათ ის. ერთ დროს მასში დიაცის[2] უსაყვარლეს იარაღს—ჯაშუშს—ჰხედავდენ.

თვრამეტი წლისა იყო, მაგრამ შეხედულება ბავშისა ჰქონდა. მან „ჯუნტა“-ს წევრებს ამცნო, რომ ის ფილიპე რივერაა და სურს აჯანყებისათვის მუშაობა. მეტი არა უთქვამს რა. მის ბაგეზე, არც თვალებში—ღიმილის მსგავსს არას გაუელვნია.

ამცნო, რომ ის ფილიპე რივერაა და სურს აჯანყებისათვის მუშობა...

პაულინო ვერა ერთხელ შეაძრწუნა რივერას გამოხედვამ. რივერას სახესა და მიმოხვრა-გამოხედვაში რაღაც საშინელი ისახებოდა. მის ცივი ცეცხლით ანთებულ თვალთა გამოხედვამ შეთქმულთა სიბეჭდ მანქანაზე მომუშავე მ.სს სეტების სახეზე გაიბრწყინა. ქალმა, იგრძნო რა გაშტერებული გამოხედვა, ცოტა ხნით მუშაობა შეწყვიტა.

პაულინო ვერამ შეკითხვით შეჰხედა არელანოსა და რამოსს, რომელთაც შეკითხვით გადაჰხედეს ურთერთს. აშკარა გარდაუწყვეტელობა გამოისახა მათ თვალებში. რივერას გამოცნობა ძნელი იყო. მისი პიროვნება მეტად გაუგებარი იყო ისეთ გულწრფელ და პატიოსან აჯანყებულთათვის, როგორიც იყვნენ პაულინო ვერა და მისი ამხანაგები.

დასასრულ პაულინო ვერამ გაბედა.

— კეთილი! თქვენ გსურთ აჯანყებისათვის მუშაობა! მაშ გაიხადეთ პალტო, მიჰკიდეთ, მანდვე, კუთხეში ჭურჭელი და იატაკის საწმენდი ტილოებია. იატაკი ძლიერ ჭუჭყიანია! უწინარეს ყოვლისა მორეცხეთ ის, შემდეგ დასწმინდეთ ფანჯრებიც.

— განა ეს აუცილებელია აჯანყებისათვის?! — იკითხა რივერამ.

— დიახ! ეს აუცილებელია აჯანყებისათვის! — მშრალად უპასუხა პაულინო ვერამ. რივერამ იქვით, ცივად გადაჰხედა მას და პალტოს გახდა იწყო.

— კეთილი! — სთქვა მან და დადუმდა.

ყოველდღე ცხადდებოდა რივერა „ჯუნტა“-ს ბინაზე და ჩუმად შეუდგებოდა თავის სამუშაოს: ჰგვიდა, სწმენდდა, რეცხდა, იღებდა ღუმელიდან ნაცარს, მოჰქონდა ნახშირი და ანთებდა ღუმელს.

— ნებას მოცემთ—გავათიო აქ ღამე?—ერთხელ როგორღაც იკითხა რივერამ.

ოჰო! როგორც იქნა?! „ჯუნტა“-ს სხდომების ოთახში ძილი მთელ მის ორგანიზაციულ საიდუმლოებში შეტრას ნიშნავდა.

— არა! არ იქნება!

რივერას თხოვნა უარჰყვეს, რის შემდეგ მას არ გაუმეორებია მიმართვა მათდამი. არელანომ ორი დოლარი შესთავაზა მას, მაგრამ რივერამ გადაჰრთო უარჰყო.

— მე ვმუშაობ აჯანყებისათვის! — მშრალად წაილუღლუღა მან.

აჯანყების საქმე დიდ ფულს ითხოვდა, „ჯუნტა“ კი ყოველთვის ფულის გასაჭირს განიცდიდა. ზოგჯერ ოცი, ოცდაათი დოლარის უქონლობის გამო იძულებული იყვნენ ძლიერ მნიშვნელოვან პროექტთა სისრულეში მოყვანაზე ხელი აეღოთ.

მაგრამ ერთხელ აი რა მოხდა.

კომიტეტს ბინის ორი თვის ქირა ჰქონდა გასასტუმრებელი; როდესაც ბინის პატრონი დაემუქრა კომიტ. წევრთ გამოსახლებას, ფილიპე რივერამ გამოიყვანა გასაჭირიდან კომიტეტი: გაისტუმრა მისი ვალი—60 დოლარი. ამ დროიდან დაწყებული რივერა არა ერთხელ უწევდა ფულით დახმარებას რევოლუციონურ კომიტეტს.

— საინტერესოა ვიცოდეთ: მთავრობის საშუალებებით ხომ არ გვიწევს დახმარებას რივერა?— ხშირად ჰკითხულობდა პაულინო ვერა; მაგრამ სწორი პასუხის მიცემა არვის შეეძლო. რივერა იმ დროის განმავლობაში განაგრძობდა თავის შავ სამუშაოს.

რივერას მოქმედება არ იწვევდა გულღია რევოლუციონერთა ნდობას.

---

[1]. „ჯუნტა“—მექსიკაში მოქმედი ერთ-ერთი რევოლუციონური კომიტეტის სახელწოდებაა.

[2]. დიაცი—მექსიკის მართველი ტირანის სახელი.

— შესაძლოა, ის დიდებული ადამიანია, მაგრამ მე მეშინია მისი!— ამბობდა პაულინო ვერა.

— მასში ადამიანური არა არის რა!—მხარს უჭერდა რამოსი.

— მართლაც, ის მეტად უცნაურია!—დაეთანხმა მ-სს სეტები.

— რივერა ზოგჯერ ლეშსა ჰგავს, ზოგჯერ კი იწვის, იწვის მთელი არსებით. მე ყოველთვის თვალს ვადევნებ მას.

მათ არ შეეძლოთ რივერას შეყვარება. ისიც ერიდებოდა და მდუმარი გულმოდგინედ ასრულებდა თვის მოვალეობას.

მხოლოდ ცივი და მკაცრი ცეცხლით ინთებოდა მისი თვალები, როდესაც ამბანაგები მოახლოებული აჯანყების შესახებ საუბრობდენ.

მოჰკონდა შეშა და ანთებდა ღუმელს...

რივერას ხასიათის სიმკაცრე თითქო მტკიცდებოდა მით, რომ ის ხშირად დასიებული ყბით ან ხელშეხვეული ცხადდებოდა კომიტეტში. ძლიერ ხშირად მას არ ძალუძდა თავისი სავალდებულო სამუშაო (ოთახის დასუფთავება-დალაგება) ბოლომდე მიეყვანა, ყრუ კენესით და სიმწრისაგან დაღმეჭილი სახით მიეგდებოდა კუთხეში და იქიდან თვალს ადევნებდა სხდომის მსვლელობას.

— რივერას უთუოდ ხშირად სცემენ,—იტყოდა პაულინო ვერა. წარმოდგენილი მაქვს ის ჯურღმულები, სადაც ეგ დადის. ეგ ვეფხია და არა ადამიანი! ო! დაიფაროს ბედმა მაგის თათებში ჩავარდნილი. ეგ საკუთარ მამასაც არ დაინდობს.

— მაგრამ საიდან შოულობს ეგ ფულს?— იკითხა ერთხელ ორელანმა, მაგალითად, დღეს რივერამ ქაღალდის ანგარიში გადაიხადა—140 დოლარი. აუცილებელია, ეხლა მაინც მიჭყეთ კვალდაკვალ.

— როდესაც რივერას ვუყურებ, მსურს ვიტირო!—განაცხადა მისს სეტბმ—მას სძულს ყველანი. ჩვენ გვიმენს მხოლოდ თავისი საჭიროებისათვის—რადგან თანამოაზრენი ვართ! ის სულ მარტოდ-მარტოა! საბრალო ბავში!

რივერა ხშირად მთელი კვირეებით იკარგებოდა და ყოველთვის დიდძალი ფულით ბრუნდებოდა. ერთ-ორ თვეს ატარებდა ჯუნტაში და კვლავ ხანგრძლივ იკარგებოდა.

მის წასვლას ნელი ნელ შეეჩვიენ.

## II.

კრიზისი ახლოვდებოდა.

აჯანყება—„ჯუნტა“-საგან იყო უშალოდ დამოკიდებული, „ჯუნტა“-ს კი მეტად უჭირდა: გასაღები იზრდებოდა, ფულის შოვნა კი დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ტირან დიაცის მართველობის მთელი მექანიზმი მზად იყო დასაშლელად, როგორც ქაღალდის ხუხულა. პროვინცია დღითი-დღე ელოდა ნიშანს. ყოველმხრივ ისმოდა ძახილი: „იარაღი! იარაღი!“.

მაგრამ იარაღი ჯერ არ იყო. არ იყო მისი შეძენის შესაძლებლობაც,—„ჯუნტა“-ს საშუალებანი სავსებით ამოიწურა.

— მწვავე ტკივილებს იწვევს ის ფიქრი, რომ მექსიკის თავისუფლება რამედენიმე ათას დოლარზე არის დამოკიდებული,—გამუდმებით იძახდა პაულინო ვერა.

— ფული! სად ვიშოვოთ ფული? ყოველივე მზადაა და დაგვიანების ყოველი დღე დიდ საშიშროებას გვიქადის!

სასოწარკვეთილებამ შეიპყრო ყველანი. დღე დღეს მისდევდა, მდგომარეობა უცელელი რჩებოდა. ხოზე ამარიკოს, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდენ, სასვდილით დასჯამ დასასრულ აიგსო ფიალა. მისს სეტბი აქვითინდა.

ამ დროს რივერა იატაკსა სწმენდა; მან ასწია ხელი და ხუთი თითის ჩვენებით იკითხა: „ხუთი ათასი იკმარებს?“.

ყველამ გოცებით და შიშით შეჰხედა მას. პაულინო ვერას სიტყვები ყელში გაეჩარა, მან მხოლოდ თანხმობის ნიშნად დაჰხარა თავი. სრულიად მოულოდნელად ის ერწმუნა მექსიკელ ფილიპე რივერას.

— იარაღი შეუკვეთეთ!— დაიყვირა რივერამ და მაშინვე წარმოსთქვა უგრძესი სიტყვა, რომელიც ოდესმე მის ბაგეთაგან ვისმეს მოუსმენია:

— დრო ცოტაა—ნაკლებია! სამი კვირის შემდეგ 5000 მანეთს მოგიტანთ. აი ყოველივე, რისი თქმაც მსურდა.

— ჭკუიდან შეიშალეთ!—წამოიძახა პაულინო ვერამ, რომელიც ადარ ერწმუნებოდა მის სიტყვებს. სად იშოვით ამდენ ფულს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ სამი კვირის შემდეგ გექნებათ ფული!—გაიმეორა ბავშვმა; პერანგის სახელოები დაუშვა,—გადიცვა პალტო.—იარაღი შეუკეთეთ! მშვიდობით!..

III

ასპარეზზე გამოსული რევერა ძლივს შენიშნეს მაყურებლებმა. აქა-იქ ყრუ ტაშიც გაისმა. მაყურებლებმა უცბად გადაწყვიტეს, რომ რევერა გულუბრყვილო ბატკანია, გამოყვანილი დიდებულ და უძლეველ ბოქსერ დენნის მსხვერპლად. გარდა ამისა, ყველას გული გაუტყდა ამავ დენისა და მისი ღირსეული მეტოქის — ბილლი კარტეის — შეტაკების მოლოდინით.

ბრძოლა დაიწყო...

რევერა თავის კუთხეში მჯდომი ელოდებოდა. დრო გულგასაწყალებლად ნელ-ნელ მიდიოდა. დენნი ალოდინებდა. ეს მისი ჩვეულებრივი ხერხი აუცილებლად მოქმედობდა ყოველ ახალ მეტოქეზე. რევერა არავითარ შიშს არ განიცდიდა და მოღუშვით გასცქეროდა ბრბოს, რომელიც 20—3000 რაოდენობით ცხადდებოდა ბოქსერთა შეჯიბრებაზე.

— ფრთხილად იყვითო!—ჩასჩურჩულა მას მისმა მთავარმა სეკუნდანტმა—ხაიგერტმა.

— რაც შესაძლოა შორს გეპიროსთ თავი! თქვენ უნდა გასძლოთ აუცილებლად 4—5 წრეზე: წინააღმდეგ შემთხვევაში —საზოგადოება აურჩაურს შეჰქმნის და შესაძლოა უკანვე მოითხოვოს თავისი ფული. ეს კი 20—30000 დოლარს უდრის. გესმით, რას ნიშნავს ეს?

რევერამ ოდნავი ყურადღება არ ათხოვა მის სიტყვებს.

იმ წუთში ის მხოლოდ ერთსა ჰგრძნობდა: რომ შეჯიბრებიდან აუცილებლივ გამარჯვებული უნდა გამოსულიყო! მოვალეა! დენნი იბრძვის, ... თვის, ის კი, რევერა... ის!

უცბად ბნელ კუთხეში, სადაც რევერა იჯდა, გარკვეულ და მასთან შავ-ბნელ სურათთა მთელმა წყებამ გაიელვა. რევერამ დაინახა რიო-ბლანკოს ქარხნის თეთრი კედლები. 6—7000 უკანასკნელ ზომამდე გაძვალტყავებული მუშა და მცირეწლოვანნი—დილიდან ნაგვიანევ საღამომდე ათი ცენტისათვის მომუშავე მშრომელნი... მან დაინახა თავისი მამა, ფარო მბარ ბეჭიანი, ძლევამოსილი, უმშვენიერესი, ნაზი სულით; მას თავის სიცოცხლეში მრავალი მწუხარება განეცადა.

ო! რაოდენმა ხანმა განვლო მას შემდეგ!..

მაშინ მას ფილიპე რევერა კი არა, ხუან ფერნანდელი ეწოდებოდა; უნდა გამოეცვალა სახელი და გვარი, რადგან ყველა ფერნანდელი სძულდა ადგილობრივი პოლიციის პრეფექტს.

— სწრაფად არ დანებდეთ! — რევერამ კვლავ გაიგონა სეკუნდანტის ხმა. — რაც შეიძლება შორს დაიჭირეთ თავი! —ესმოდა მას ეს სიტყვები, მაგრამ არ გაეგებოდა მათი მნიშვნელობა, რადგან მისი ფიქრები ძლიერ შორს იყო, ის სხვით იყო შეპყრობილი.

რამოდენიმე წელმა განვლო... მოელვარებამ მოიცვა მთელი მხარე. აჯანყდა რიო-ბლანკოც... საშინელებაა! ყოველივეს დაჭირავებულ ჯარისკაცთა განადგურების და თარეშის ბეჭედი დაესვა. რკინისგზის ბაქანზე ეყარა დასახჩრებულ სხეულთა ურიცხვი გროვა. მკვდრებს ვერა-კრუცში ეზიდებოდენ, საიდანაც ზღვაში გადაუშვებდენ ნათელ-თვეზთა შესაკმელად. საკოდავი მამა, საკოდავი დედა... რევერამ ვერ მიახწია ძვირფას ცხედრებამდე...

მის სმენამდე უცბად მოახწია დამაყრუებელმა, ზღვის ამობოქრებულ ტალღათა ღელვის მსგავსმა, ხმაურობამ. თავი მაღლა ასწია—დაინახა დენნი, მთელ წყება თანაშემწე-მხლებელთა და მასაჟისტთა თანხლებით. საზოგადოების საყვარელი—დენნი-მარჯვნივ და მარცხნივ უღიმოდა ხალხს, ხუმრობდა, ოხუნჯობდა, მხოლოდ თვისი მეტოქისათვის ზიზღით სავსე შეხედვაც არ გაუმეტნია.

რევერას არავინ უყურებდა, თითქოს ის არც კი იყო ასპარეზზე. აღტაცების ჩურჩული გაისმა ბრბოში, როდესაც დენნიმ თავისი მოსასხამი მოიხსნა. მართლაც შესანიშნავი, ქალის მსგავსად თეთრი და ნაზი, მაგრამ მასთანვე მკერდი და კუნთოვანი სხეული ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ხაიგერტმა გადააძრო ხალათი რივერას, მაყურებელთა შორის აშკარა უკმაყოფილება გაისმა. მუქი კანის გამო ახალგაზრდა ბოქსერის ტანი გაცილებით უფრო გამხდარი გამოიყურებოდა. მაგრამ საზოგადოებამ სათანადო ყურადღება არ მიაპყრო მის ფართო მკერდს და უჩვეულოდ განვითარებულ ბეჭის კუნთებს.

საზოგადოება აღტაცებაში იყო. აქამდის არ-ოდეს უნახავს მას ასეთი შესანიშნავი ჭიდაობა, რომელიც ჭიდაობა კი არა, არამედ ნამდვილი ბრძოლა იყო, ან ნელი, დახელოვნებულად ჩადენილი მკვლელობა.

რივერას დაუსრულებელ, მძიმე და შეუბრალებელ დაკვრათა სეტყვა ატყდებოდა თავს. პირველი წუთიდანვე შეჯიბრება დიდებულად დაიწყო, გამოუთქმელმა აღელვებამ შეიპყრო ყველა მაყურებელი.

მხოლოდ დენნით სტკბებოდენ. რივერას თითქმის სული არ უცქეროდენ. მრავალი დარწმუნებულიც არ იყო, რომ რივერა ფეხზე იდგა. რივერას ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ბაგე რამდენიმე ადგილას გახლეჩოდა, მხოლოდ სრულიად მშვიდად სუნთქავდა, გამოხედვა კი—ჩვეულებრივ ცივი სიძულვილით ჭქონდა ანთებული.

საზოგადოებისათვის უცბად სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: ასპარეზზე მოქმედი დენნი როგორღაც მიწაზე განართხული აღმოჩნდა. რივერა მარტო იდგა: მოწინააღმდეგე მოცელილი დაეცა მიწაზე.

მეშვიდე წამზე დენნიმ ცალ მუხლზე წამოიწია, მეათე წამზე კვლავ ბრძოლის პოზიციაში იდგა.

რივერას შესანიშნავად ესმოდა, რომ მოსამართლე ძლიერ აყოვნებდა წამების თვლას. ყველა მის წინააღმდეგ იყო! აქ შეკრებილ 20—30000 ადამიანიდან არც ერთი არ იჭერდა მის მხარს.

დენნი იცავდა სახესა და მუცელს, სრულიად მოკრუჭჩხულ მდგომარეობაში განაგრძობდა ჭიდაობას. მსგავსი მდგომარეობა ეწინააღმდეგებოდა ჭიდაობის, ბრძოლის ყოველ ხერხს, მაგრამ მოსამართლე არ აძლევდა შენიშვნას დენნის. მან შესძლო მოკეთება ასეთს მდგომარეობაში და ჭიდაობა გრძელდებოდა.

სწრაფად გაიელვა მეორე და მესამე წრემ, მეოთხეზე დენნიმ საბოლოოდ მოიკეთა, მაგრამ გრძნობდა რივერას სახეში მძლავრ, საშიშ მეტოქეს, რომლისათვის ცნობილი იყო პროფესიონალ. მეჭიდავის ყოველი ხერხი.

## IV.

ბრძოლა ცვალებადი გამარჯვებით გრძელდებოდა. მეთოთხმეტე წრის დროს რივერამ ყურადღება მიაპყრო საიკვო ჩურჩულს დენნის კუთხეში. რივერას გარეული კატის მსგავსად გამახვილებულმა სმენამ გაიგონა საუბრის ერთი ნაწილი. მას მეტის გაგონება სურდა და შესძლო დენნის ჩამწყვდევი საპირო კუთხეში.



მოწინააღმდეგე მოცელილი დაეცა მიწაზე.

— დენნიმ უნდა გაიმარჯვოს,—სთქვა ანტრეპრენიორმა კელლიმ. გარს მყოფნი თავის ადგილთ დაეთანხმენ.—წინააღმდეგ შემთხვევაში ეშმაკმა უწყის რამდენს წავაგებ. თუ ეგ ლეკვი მეხუთმეტე წრეს გაუძლებს, დავიღუპე.

ამ წუთამდე რივერას გონების წინ სხვადასხვა მძიმე სანახაობანი იშლებოდა. მას ყოველმხრივ ეჩვენებოდა იარაღები. ყოველ მძულვარე სახეში ის თავის წინააღმდეგ მომართულ იარაღს ჰხედავდა. ის იარაღისათვის იბრძოდა. იარაღი—ან სიკვდილი.

მან ეხლა სწრაფად განდევნა მოჩვენებანი. მას და, მაშასადამე, აჯანყების მთელს საქმეს, აუცილებელი საფრთხე ელის.

რივერამ ერთხელ კიდევ დაანარცხა მიწაზე დენნი და ხელებდაშვებული დადგა. მასთან მივიდა დენნის თანაშემწე რობერტი.

— მეტი არ ახლოთ მას ხელი!—წასჩურჩულა რობერტმა ლაკონიურად და თან ბრძანებით, მაგრამ რივერამ ზიზღით გადაჰხედა მას. ის ელოდა დენნის ადგომას. შემდეგ კელლი მიიჭრა რივერასთან.

— დაანებეთ თავი დენნის, ეშმაკის კერძო! თქვენ უნდა დანებდეთ,—გაიეთ, რას გეუბნები!

მომავალში ნებას დაგრთავთ მასზე გაიმარჯვოთ, მაგრამ ახლა უნდა დანებდეთ!

რივერა თავის განზრახვებს ოდნავი მოძრაობითაც არ ამჟღავნებდა.

— რათ სდუმხართ? სულ ერთია, მოსამართლე მაინც არ გაგამარჯვებინებსთ. ტყუილ-უბრალოდ ცდილობთ! — უთხრა რობერტმა. გაუკონეთ კელლის, — დანებდით.

რივერა სდუმდა. როს კვლავ გაისმა საყვირის ხმა, მან ინსტინქტიურად იგრძნო მომაკალი საფრთხე. დენნიმ წინანდელი სიმძაფრით იწყო შეტევა და, რაც იშვიათად ჰხდებოდა, დაჰკარგა სიფრთხილე. მაყურებელთა აღგზნებამ უკიდურეს საზღვარს მიახწია. რივერა, ელოდა რა დენნისაგან საშინელ ხერხს, გაურბოდა მის დაკვრას.

გარს ისმოდა მექსიკელ რივერას მისამართით ყიჟინა და ლანძღვა-გინება.

— ა, შე... მ შიშარავ!.. რას გაურბი, ყვითელ-დინგა მაიმუნო? დენნი, მოუღე ბოლო, რას ეწვალები?..



ხუთი ათასი დოლარი ერგო... დიადი საქმის დაწყება შესაძლებელი იყო...

ამ გამხეცებულ, ძალზე აღელვებულ ხალხში მხოლოდ რივერა იყო ცივი, დამშვიდებული. ტემპერამენტის სიცხოველით ის თვითოეულ მათგანს აჭარბებდა, მაგრამ ცხოვრების მკაცრმა სკოლამ იმ ზომამდის გამობრძმედა ის, რომ ახლა ორ-სამ ათეულ ათას ადამიანთა კოლექტიური ენება არაავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა მასზე. დენნიმ, როგორც იყო, მე 17 წრეზე, მოიყვანა სისრულეში თავისი განზრახვები. მისი საშინელი დაკვრა რივერას ფეხვილის ტომარასავით დაეშვა მიწაზე, [illegible] წუთში, როდესაც დენნი ემზადებოდა, რომ რივერასთვის უკანასკნელად და გარდამწყვეტად დაეკრა, უკანასკნელი ვეფხის იშვიათი მოქნილობა-სისწრაფით აღიმართა და ძლიერ დაჰკრა დენნის ცვირპირში. დენნი დაეცა მუხლებზე, რივერამ დაუშინა მუშტები, რისთვისაც ვერ ჩაეინდებოდა უდიდეს მოთხოვნათა მოსამართლეც.

— ბილლი, ბილლი! საშინელებით წამოიძახა კელლიმ.

— გაიჩერეთ ეგ...

— მე არა ძალმიძს რა, — ხელების შლით უპასუხა მან. — რივერა საბაბს არ მაძლევს, რომ შევჩერო.

სასოწარკვეთილმა კელლიმ დაუძახა პოლიციას და მოითხოვა შეჯიბრების შეწყვეტა. მაგრამ როდესაც პოლიციელმა და მოსამართლემ ხელი დაუჭირეს რივერას, უკანასკნელი დაკვრა უკვე მიყენებული იყო.

საჭირო არ იყო შეჯიბრების ხელოვნურად შეჩერება, რადგან დენნი ვერ დგებოდა.

— დაითვალეთ! — ხმაჩახლეჩით დაიძახა რივერამ.

ათი წუთის შემდეგ დენნის თანაშემწეებმა გრძნობადაკარგული ბოქსერი ასპარეზიდან გიტანეს.

— ვინ გაიმარჯვა? — იკითხა რივერამ.

უფროსმა მოსამართლემ სურვილის წინაალმდეგ აიყვანა ხელში ფილიპე რივერა და მაღლა ასწია.

არვის მიულოცნია რივერასათვის. ის მარტოდმარტო, უცბად დაშვებული — მიიკრუნჩხა თავის კუთხეში, სადაც არც ერთმა ადამიანმა არ მოიფიქრა... მისთვის სკამის მიწოდება.... ის დაეყრდნო გაბმულ თოკს და სიძულვილით გადაჰხედა იქ მყოფთ.

რივერა მთელი ტანით ჭკანკალებდა და ძალამიხდილი უცბად აქვითინდა.

მძულვარე სახეები — როგორც ღრუბლებში, ისე ელავდა მის თვალწინ.

მაგრამ უცბად რივერას რაღაც მოაგონდა და გაიღიმა: ხუთი ათასი დოლარი ერგო მას.

დიადი საქმის დაწყება შესაძლებელი იყო.

**ჯეკ ლონდონი.**

# პიონერები სკოლაში

**პიონერები — მოწინავე ბავშვები არიან**

**პიონერთა ერთ-ერთი კანონი ლაპარაკობს:**

**პიონერი ყველა ბავშვებისათვის მაგალითის მიმცემია.**

რა შინაარსი აქვს ამ კანონს, უნდა შეასრულონ ის პიონერებმა თუ არა? უდავოა, რომ ეს კანონი მეტად საჭირო და აუცილებელია. ნორჩი პიონერი — ლენინელები არიან მოწინავე, ყველაზე უფრო შეგნებული ბავშვები. ისინი პირველები შეერთდენ კოლექტივებში, ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციაში, დაიწყეს სწავლა, ემზადებიან მუშათა კლასისათვის საბრძოლველად. მაგრამ ეს ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პიონერები კარგად მოიქცევიან, მოიქცევიან უკეთესად, ვიდრე დანარჩენი შეუკავშირებელი, არაპიონერი ბავშვები. თავისთავად ცხადია, თუ პიონერები ცუდად მოიქცევიან, მაშინ მათი მუშაობა სრულიად უსარგებლოდ, ტყუილ-უბრალოდ დაიკარგება.

პიონერებს კარგად უნდა ახსოვდესთ, რომ ისინი არაკუთარ შემთხვევაში არ უნდა გამოეყონ დანარჩენ ბავშვებს, არ უნდა უყურონ მათ ამაყად. მხოლოდ მაშინ იმუშავებენ პიონერები კარგად, თუკი ისინი შესძლებენ დანარჩენი ბავშვების, ჯერ კიდევ არაპიონერების, შემოკრებას თავიანთი კოლექტივების ირგვლივ. ამისათვის კი საჭიროა, რომ პიონერი იყოს მაგალითის მიმცემი დანარჩენი ბავშვებისათვის. მაშინ ისინი გაჰყვებიან პიონერებს და თვითონაც გახდებიან პიონერები.

ამგვარად, თვითეული პიონერი უნდა იქცეოდეს ისე, რომ ის იყოს დანარჩენი ბავშვებისათვის მისაბაძი. ყოველი პიონერი უნდა გრძნობდეს, რომ მას უყურებენ, რომ მას თვალყურს ადევნებენ, რომ მისგან მაგალითს იღებს ათეული და ასეული ბავშვი.

სად შეუძლიათ პიონერებს დაეხმარონ არაპიონერებს, სად შეუძლიათ პიონერებს იყვნენ შეუკავშირებელი ბავშვებისათვის მაგალითის მიმცემნი? — ყველგან: ოჯახში, ქუჩაში, კლუბში და, უპირველეს ყოვლისა, სკოლაში. ეს იმიტომ, რომ სკოლაში, სადაც სწავლობენ პიონერები და შეუკავშირებელი ბავშვები, — პიონერები თავისი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდენ სკოლის მუშაობის წინსვლას.

ალბათ, ყოველმა პიონერმა იცის, რომ ჩვენ სკოლებთან კოლექტივებს არ ვაარსებთ. პიონერ-კოლექტივები არსდება ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის უჯრედის ხელმძღვანელობით მხოლოდ ქარხანა-ფაბრიკებთან, მუშათა კლუბებთან და საერთოდ წარმოებასთან ქალაქში, ხოლო სოფლად კი კომკავშირის უჯრედებთან. ასე ხდება იმისთვის, რომ პიონერები უფრო ახლო იყვნენ მუშებთან, წარმოებასთან, გლეხებთან, სასოფლო მეურნეობასთან, კარგად იცოდნენ მათი ცხოვრება.

მაგრამ სკოლაშიაც სწავლობს პიონერთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. გარდა პიონერებისა სკოლაში არიან კიდევ არაპიონერებიც. იმისათვის, რომ პიონერებმა გაელენა მოახდინონ შეუკავშირებელ ბავშვებზე, მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრებაში, ყველა პიონერები, რომლებიც სწავლობენ ამა თუ იმ სკოლაში, რამდენიც არ უნდა იყონ ისინი, ერთიანად სასკოლო კოლექტივ — **ფორპოსტში.**

ფორპოსტში იკრიბებიან ყველა პიონერები და ერთად სწყვეტენ თავიანთ საპირბოროტო საკითხებს და საქმეებს.

**რას აკეთებენ პიონერები სკოლაში.**

სამუშაო, რომელიც მოსწავლე პიონერებმა უნდა შეასრულონ სკოლაში, ბევრია. პირველ ყოვლისა, ისინი უნდა სწავლობდენ კარგად. ზოგიერთი პიონერი თავისი პირადი მიზეზების გამო, ზოგიც იმიტომ, რომ ჩაბმულია პიონერულ თუ კერძო მუშაობაში, ცუდად სწავლობს, მეორე წელს რჩება იმავე ჯგუფში. ეს არ უნდა ხდებოდეს, ასეთ სამწუხარო მოკლენას არ უნდა ჰქონდეს ადგილი პიონერთა შორის. კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ პიონერს კანონი, რომელიც გვეუბნება:

**— ცოდნა ძალაა მუშათა კლასის საქმისთვის ბრძოლაში.**

თუკი პიონერს სურს იყოს ლენინელი, ცოდნა უნდა შეიძინოს, ისე მისგან გამოვა არა მებრძოლი, არამედ ცხოვრებისათვის უსარგებლო ადამიანი. ამიტომ, ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს, რომ მისი პირველი და უმთავრესი ვალდებულებაა— ისწავლოს. **მუშათა და გლეხთა შვილების ამოცანაა,—სთქვა ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა ვლ. ლენინმა—„სწავლა, სწავლა და სწავლა“.**

და ასევე, გაკვეთილების დროს პიონერები არ უნდა ეშმაკობდენ, არ უნდა ცუღლუტობდენ, ხელს არ უნდა უშლიდენ მასწავლებელს მეცადინეობაში. პიონერები თვითონ არ ეშმაკობენ, ისინი

ფორპოსტის კრება...

ეხმარებიან მასწავლებელს წესიერების დამყარებაში, არწმუნებენ მოწაფეებს, რომ საჭიროა წყნარად და მშვიდად ჯდომა გაკვეთილის დროს. ამგვარად ყველაზე უწინ პიონერები უნდა იყონ დისციპლინის და წესრიგის გამტარებელი სკოლაში.

როდესაც დასვენებაა, პიონერები ცდილობენ, იმის მაგივრად, რომ იჭიდაონ ან იჩხუბონ, მოაწყონ რაიმე კარგი საინტერესო თამაშობანი.

პიონერები თვალყურს ადევნებენ იმას, რომ სამეცადინო ოთახში სიწმინდე იყოს დაცული, დაფა გასუფთავებული, ფანჯრები გაღებული—ოთახის ჰაერის გასასუფთავებლად და სხვ.

სკოლაში არის მოწაფეთა სხვადასხვა ამორჩეული ორგანოები. არის მოწაფეთა თვითმართველობა, ჯგუფის კომიტეტები, სხვადასხვა კომიტეტები. სასურველია ამ ორგანოებში პიონერები იყვენ არჩეული. როგორც უფრო შეგნებული და ენერგიული ბავშვები, ისინი სხვებზე უფრო შესძლებენ სამუშაო თავის სიმაღლეზე დაყენონ. მაგრამ როგორ უნდა მოვიმოქმედოთ ეს? ზოგჯერ ფორპოსტი გამოჰყოფს თავის წარმომადგენელ პიონერს ამ ორგანიზაციებში. ცხადია ასეთი მოქმედება არაა სწორი, ის შეუფერებელია იმიტომ, რომ ეს ორგანოებიანი ჩვეულებრივია, და რადგანაც ასეთია, საჭიროა, რომ ამ პიონერებსაც ირჩევდენ. ფორპოსტი უნდა შეეცადოს, რომ ამ ორგანოებში მოხვდენ პიონერები და მათი საშუალებით უხელმძღვანელოს ყველა კომისიებს.

როგორ მოვაწყოთ ეს? ცხადია, არა ისე, რომ ძალით მოვახვიოთ თავზე მოწაფეებს პიონერები, არამედ უნდა ვეცადოთ და ფორპოსტის მუშაობა დავაყენოთ ისე კარგ დონეზე, რომ პიონერებს თვით მოწაფეები აყენებდენ და არჩევდენ სასკოლო თვითმართველობებში. შემდეგ, ზოგჯერ ფორპოსტები ცდილობენ, რომ სასკოლო ორგანოებში შეიყვანონ მხოლოდ პიონერები, ხოლო დანარჩენ, შეუკავშირებელ ბავშვებს გასაქანსაც არ აძლევენ. ცხადია, ესეც არაა სწორი. ფორპოსტმა უნდა დაიახლოვოს საუკეთესო, უფრო კარგი და აქტიური შეუკავშირებელი მოწაფეები და მათთან ერთად იმუშაოს, გამოჰყოს მათი შემადგენლობიდან წევრები მოწაფეთა თვითმართველობაში, სხვადასხვა კომისიებში, მაგრამ ამავე დროს უნდა ვცდილობდეთ, რათა ყოველთვის და ყოველგან გავავრცელოთ პიონერთა მტკიცე გავლენა.

სკოლაში არსებობს მრავალი სხვადასხვა წრე. სკოლა უშვებს თავის კედლის გაზეთს, სკოლაში მუშაობს ბავშვკორთა წრე, მუშაობს პიონერთა დრამწრე და თეატრი, სასიმღერო გუნდი. სკოლაში ხშირად აწყობენ სხვადასხვა ექსკურსიებს, გასეირნებებს. ყველა ამ მუშაობის ჩატარებაში პიონერები პირველები უნდა იყონ; ისინი უნდა იყონ წრეების აქტიური წევრები, თუკი წრეები არსებობს, და თუ არ არსებობს, პიონერებმა უნდა აღძრან საკითხი წრეების დაარსების შესახებ. პიონერები ცდილობენ დრამწრის საშუალებით დასდგან რევოლუციონური პიესები, სასიმღერო გუნდმა შეისწაულოს რევოლუციონური სიმღერები, პიონერები თვალყურს ადევნებენ და ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთის მუშაობას.

ფორპოსტი არ უნდა იკეტებოდეს მარტო თავის ვიწრო ფარგლებში, არ უნდა იმალებოდეს მოწაფეთაგან. მხოლოდ ის ფორპოსტი იმუშავებს კარგად, რომელსაც მეგობრული განწყობილება ექნება დანარჩენ მოწაფეებთან, შესძლებს მათ ჩაბმას თავის მუშაობაში. ამისათვის ფორპოსტის კრებაზე უნდა მოწვეულ იქნან შეუკავშირებელი ბავშვიც, და მათაც უნდა მიეცეთ ამ კრებაზე აქტიური მონაწილეობის მიღების უფლება.

შემდეგ, ფორპოსტმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რომ პიონერთა მუშაობაში ჩაბმას მასწავლებლობაც. მასწავლებლობას შეუძლია ფორ-

პოსტში ჩაატაროს საუბარი, იკისროს ხოლმე წრის ხელმძღვანელობა, დეხმაროს საჭირო რჩევით იმ ბავშვებს, რომლებიც მუშაობენ ფორპოსტში. ამასთანავე თვით პიონერებიც იქნებიან სასარგებლონი მასწავლებლებისათვის: ისინი დეხმარებიან ამ უკანასკნელებს სკოლაში დისციპლინის, წესრიგის დამყარებაში მეცადინეობის დროს. უდავოა, თუ რომ რაიმე მუშაობაში საზოგადოდ და მით უმეტეს სასკოლოში არ არსებობს დისციპლინა, წესრიგი, ისე არავითარი ნაყოფიერი მუშაობა არ შეიძლება. აგრეთვე, პიონერები პირველნი უნდა ეხმარებოდენ მასწავლებლებს, როდესაც ისინი განიზრახავენ ახლო მიუდგენ მოწაფეებს, გახდენ მათი მეგობარი და ამხანაგი. პიონერები და მასწავლებლები უნდა იყონ თანამშრომლები, ერთმანეთის მოკავშირეები სკოლაში. ამისათვის საჭიროა მასწავლებლები შეყვანილ იქნენ ფორპოსტის საბჭოში. ამისათვისვე ფორპოსტის წინამძღოლი შედის სასკოლო საბჭოს შემადგენლობაში. ზოგიერთი პიონერები, რომლებსაც არ ესმისთ თავიანთი ამოცანები სკოლაში, დაიწყებენ მბრძანებლობას, განკარგულებების გაცემას. ეს არ უნდა მოხდეს. თვითეულ პიონერს უნდა ახსოვდეს და მტკიცედ იცოდეს, რომ სკოლის პატრონი არის მასწავლებელი, ხოლო პიონერი კი მისი პირველი მეგობარი და დამხმარეა. პიონერების და მასწავლებლების მეგობრული შეერთებული ძალით მუშაობა —აი, რა არის წარმატებითი ნაყოფიერი მუშაობის საფუძველი.

დასასრულ, სკოლის პიონერების ამოცანაა, სკოლა ჩაბან საზოგადოებრივ მუშაობაში. საჭიროა სკოლის დაახლოება პიონერ-ორგანიზაციასთან, საჭიროა მისი დაახლოება წარმოებასთან, საჭიროა მისი ჩაბმა ამა თუ იმ პოლიტიკური კამპანიის ჩატარებაში. ამაში მდგომარეობს ფორპოსტის ერთერთი ამოცანა. ამისათვის თვითეული ფორპოსტი მიმაგრებულია რომელიმე კოლექტივთან და მისი საშუალებით უკავშირდება წარმოებას, ეცნობა მუშათა ცხოვრებას და მერე კი თვითონ მუშებს აცნობს სკოლის ცხოვრებას. ფორპოსტი ცდილობს, რაც შეიძლება კარგად აღნიშნოს ყველა კამპანიები, აწყობს დილებს და საღამოებს, უმარტავს მოწაფეებს ამა თუ იმ პოლიტიკური შემთხვევის და მოვლენის შინაარსს.

ასეთი ამოცანები უნდა დაისახონ ჩვენმა პიონერებმა მიმდინარე სამოსწავლო წელს.

**შ. შე—ლი**

---

## ოქტომგერმა მოგვცა ახალი სკოლა—ფრუმის სკოლა. ვიმუშაოთ მის გასამტკიცებლად.

---

## პირველი ოქტომგრიდან ჟურნალი „წითელი სხივის“ მაგიერ გამოვა ორკვირეული ჟურნალი „პიონერი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ძმები მსოფლიოში

### მშრომელი ბავშები ამერიკაში.

ბავშთა შრომა ამერიკაში ძლიერ გავრცელებულია. სხვადასხვა დარგებში ჩაბმულ ბავშთა რაოდენობა, ოფიციალური ცნობების მიხედვით, იქ 2 მილიონს უდრის.

ბავშთა შრომის ასე ფართოდ გავრცელების გამო ბუნებრივია, რომ ამერიკის ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ ეკონომიური ხასიათი აქვს.

ამერიკელი ბავშები ექსპლოატაციის წინააღმდეგ...

ქ. პასსაიკში ფეიქართა გაფიცვის დროს ბავშებმა ადგილობრივ პიონერ-ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოაწყვეს დიდი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც 20 ათასზე მეტმა ბავშმა მიიღო მონაწილეობა.

დემონსტრაციის შემდეგ ბავშთა ჯგუფი პიონერთა მეთაურობით გაემართა ქ. ვაშინგტონისაკენ და მივიდა შეერთებული შტატების პრეზიდენტთან. დემონსტრანტ ბავშები მოიხოვდენ ბავშთა შრომის ექსპლოატაციის შეწყვეტას. მაგრამ პრეზიდენტმა, რომელიც მაშინ ბალეტის (ცეკვის) მომწყობთა წარმომადგენლებს იღებდა, არ მიიღო ბავშები და განაცხადა: „ბავშთა შრომას ამერიკაში არა აქვს ადგილი და თქვენ ტყუილა-უბრალოდ შეგიწუხებიათ თავიო“.

მაგრამ ბატონი პრეზიდენტი ამ შემთხვევაში ისევე სტყუოდა და გაიძვერობდა, როგორც საერთოდ მთელი ბურჟუაზია.

ამერიკის ბავშთა ლიგაში რამოდენიმე ათასი წევრი ითვლება, ისინი უშვებენ ორკვირეულ გაზეთს „ახალგაზრდა ამხანაგს“, 8 გვერდზე.

### ოთხი მილიონი და ერთი ვაშლი.

ორი მილიონი გადატაკებული და საზღვარგარეთ გაქცეული გლეხი, სამასიათასი შიმშილისგან დალუპული ადამიანი, 4,000,000 ჯაბუკი და მოზარდი მონობაში ჩავარდნილი და უფლებააყრილი— ეს მხოლოდ ერთი თვეა კორეის ხალხის წამების ისტორიიდან.

გლეხური კორეია საშინელ რბევას განიცდის: მოსავლის ორი მესამედი იაპონიის კაპიტალისტების განკარგულებაში გადადის, მეოთხედი—იაპონიის პოლიციის, იაპონიის ჯარის, მოხელეების და ჟანდარმების შესანახად არის გადადებული. დანარჩენით კორეიელმა უნდა არჩინოს თავისი თავი და ოჯახი.

კორეიაში 4 მილიონი ახალგაზრდობა და ნორჩი მონაა. ათი წლის ბავშები მოჯამგირეობენ და კაპიტალისტების პლანტაციებს ანოყიერებენ თავისი ოფლით; მძიმე ტვირთ ქვეშ იკაკვნიან, ზურგით ატარებენ მოიჯარადრეებს და ჩარჩებს, მსახურობენ შინამრეწველის სახელოსნოებში და გასამრჯელოდ დღეში 4-6 სენამდე (სენა ერთი კაპიკია) იღებენ.

კვდებიან ქუჩის ქვაფენილზე, ვერ უძლებენ წამებას და შიმშილს.

აი, ერთი შემზარავი სურათი კორეიელი ბავშების აუტანელი ცხოვრებისა:

**ხეისლერი** ამერიკელი მისიონერია, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის წიაღში ეპატიჟება „ამოსავალი მზის“ შვილებს, მაგრამ სახარების კითხვა დავიწყებული აქვს მას. კაპიტალისტურ ქვეყნებში ვინლა აქცევს სერიოზულ ყურადღებას ასეთ სისულელეებს! არც მამა ხეისლერი იწუხებს თავს ქადაგებით. რასაკვირველია, ხეისლერი რელიგიურ საკითხებზე აბდაუბდას კომერციულ ყირათობას და საქმიანობას ამჯობინებს. ის ორი რესტორანის იჯარის მონაწილეა და ცოტა კიდევ მევახშეც.

4 მილიონ კორეიელ მონებიდან ოთხი ხეისლერის განკარგულებაშია. 16-18 საათის სამუშაო დღისთვის ბავშები იღებენ ერთ იენას (ერთ მანეთს) თვეში და ხშირად მათრახს, რომლის რაოდენობაც წინდაწინ განსაზღვრული არ არის.

ერთ დღეს ხეისლერმა დაიჭირა თავისი მონა ბავში **ჯოიგუ**: მონა ვაშლს სჭამდა. ხეისლერმა კარგად იცოდა, რომ მთელი თავისი ჯამაგირი ჯოიგუმ შინ გაგზავნა. ცხადი იყო, რომ ვაშლი მოიპარა ჯოიგუმ.

ქურდობა მისიონერისათვის აღმაშფოთებელია!

**ჯოიგუ დასაჯეს: გაატიგლეს, შეჰკრეს და იატაკზე დაგდეს. მერე გახურებული რკინის მავთულით დაწერა ხუცესმა ჯოიგუს ყვითელ კანზე სამარცხვინო სიტყვა: ქურდი.**

კვნესა და ყვირილი ბავშისა ცამდე ადიოდა. მახლობელ მოედანზე მოძრაობა შეწყდა.

ჯოიგუს ორი ამხანაგი თავზარდაცემული ქვითინებდა იქვე სახლთან.

ხეისლერის სახლში შეიჭრა ბრბო. კორეის საშინელ რეჟიმს მიჩვეულნიც კი ააშფოთა ხეისლერის „ოჯახურმა“ სცენამ.

ხეისლერი სამართალში მისცეს. 30 ივლისს ის წარსდგა სასამართლოს წინაშე.

მაგრამ სასამართლომ შემდეგი დაადგინა: „ჯოიგუმ მოიპარა ვაშლი და ამისათვის დაისაჯა. მისიონერი ხეისლერი-კი ცნობილია, როგორც კეთილი და ნამდვილი ამერიკელი და პატიოსანი კომერსანტი და ის სავსებით მართალია“.

ხეისლერი გამარჯვებული დაბრუნდა შინ. ჯოიგუ მიათრევდა მას.

ასე ეპყრობიან ჩვენს ძმებს იმ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზია ბატონობს. საჭიროა საბჭოთა ქვეყნების პიონერებმა გაუწოდონ მათ თავისი ხელი და ანუგეშონ ისინი.

### ჩვენი რიგები იზრდება.

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა თანდათან იკიდებს ფეხს ქვეყნიერების ყველა კუთხეში. სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარული ბავშები კომკავშირის ხელმძღვანელობით ფართედ ირაზმებიან ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის რიგებში. ახლახან მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ შორეულ **ურაგვაიში** (სამხრეთ ამერიკაში) კომკავშირმა დაიწყო მუშაობა პიონერ-მოძრაობის შესაქმნელად. უკვე დარაზმულია პროლეტარული ბავშების პირველი ჯგუფები და გამოდის ბავშთა სპეციალური გაზეთი „პიონერი“. მოწყობილ იქნა აგრეთვე რამოდენიმე ექსკურსია საუბრებით და სპორტიული შეჯიბრებით. ახლა ურაგვაის კომკავშირმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება ფართედ აწარმოოს ბავშთა კომუჯრედებში მუშაობა.

### კაპიტალის მონობაში.

ძნელია იმ პირობების აღწერა, რომელშიც ცხოვრობენ კაპიტალისტურ ინგლისში ბავშები. საჭიროება აიძულებს მათ მცირეწლოვანებიდანვე გახდენ კაპიტალისტების მონები, რომ ამ გზით მოიპოვონ საარსებო სახსარი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ინგლისში 2.500,000 მეტი პროლეტარი ბავში მუშაობს მძიმე პირობებში სხვადასხვა კაპიტალისტურ წარმოებებში.

ინგლისის მაღაროებში დაახლოვებით 50,000 ბავში მუშაობს მიწის ქვეშ მძიმე პირობებში.

ცხოვრების აუტანელი პირობები და კიდე მუშაობა მცირეწლოვანებიდანვე აავადმყოფებს მათ.

ჩინელი გლეხის ბავშები...

ინგლისის პიონერებს, მუშების შვილებს, კარგათ ესმით ეს და ხედავენ იმ მძიმე პირობებს, რომელშიც ცხოვრობენ მათი ამხანაგები.

ინგლისის ბავშთა კომჯგუფები ახლა ატარებენ დიდ კამპანიებს სკოლებში, ქუჩებში, ბეჭდვით სიტყვაში ბავშთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ და ბავშთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსავლის დღე

მოსავლის დღე—ეს მუნების სიუხვის, სიმდიდრის და დოვლათის ნამდვილი ზეიმია. ამ დღეს საგანგებოდ გამოიფინება ბარაქა და სინოყიერე დედამიწისა, შრომის ნაყოფი იმისი, ვინც ათას მილიონ ხალხს ჰკვებავს და აძლევს სიცოცხლეს.

განა ამაზე ძვირფასი, ამაზე სასიხარულო დღე ყოფილა როდისმე? ამ დღეს ზეიმი უნდა გადავუხადოთ მას, რასაც დოვლათი და სიხარული შემოაქვს ხალხში, რაც ნამდვილად ახალისებს მიწისმუშის და სოფლის მეურნის ოჯახს. ეს დღე არ წაგვაგს იმ ცრუმორწმუნეობით სავსე დღეებს, როდესაც მიწის მოცემული ქონება საყდართა ბალავნებში ნიავწყალდებოდა, იმ დღეებს, ოჯახს რომ აცარიელებდა, იქ სიღარიბეს ასადგურებდა...

ბავშვები ბალეხს ეხმარებიან.

ეს დღე სიხარულის, სიმდიდრით ავსების დღის და წუთის აღნიშვნაა.

ამ დღეს ნათლად უნდა დავინახოთ, რომ მშობელმა მიწამ მოგვცა თავდახრილი, ოქროსფრად აელვარებული თავთავი, შვინდის კურკის სიმსხო მარცვლით სავსე სიმინდი, ქარვასავით ჩაყვითლებული, ადამიანისთვის აუცილებელი სახამებელით და ცხიმით გაჟეჯნული, რომ საწნახელი აივსო ყურძნის მარგალიტის მტევნებით, რომელიც ლალისფერ წყაროდ გადაჰქუხს თაღარიდან ქვევრში, რომ ბაღში ხეხილის ტოტები დაჰხარა ათასფრად შეფერადებულმა ხილმა, რომელთა შეწოვლებულ ლოყებში ასახულია ჩვენი ცხოველმყოფელი ცხრათვალა მზე, სიმდიდრე, სიუხვე და სილამაზე ჩვენი ბუნების. და ვიცით, რომ მით დავტვირთავთ მრავალ რონოდას, **რომელნიც გადისრილებენ** ათას ვერსებს და სამაგიეროდ დაგვიბრუნებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, შაქარს და ფართალს. ამ დღეს უნდა დავინახოთ, თუ როგორ გაივსო ბოსტანი ჭარხლით, კარტოფილით, ხახვით, მინდორი—მრავალნაირი ჭირნახულით... და ყოველივე ეს გადიქცევა ადამიანის ძალად, ენერგიად, რომლითაც შეიქმნება ახალი ცხოვრება.

ჩვენ არა გვაქვს საკმაო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სწავლა, ტეხნიკა, სიმდიდრე. ყოველივე ამას მოგვცემს მიწა და შრომა, მაგრამ მოგვცემს მხოლოდ მაშინ, თუ **მიწის მიერ მოცემულ დოვლათს გონივრულად გამოვიყენებთ.**

მოსავლის დღეს სწორედ ეს მხარე უნდა იყოს გაშუქებული, გამოაშკარავებული. უნდა გადავავლოთ თვალი განვლილ სამეურნეო წელს... ამ დღეს აშკარად უნდა აღინიშნოს ყოველი ნაკლი და მიხწევა.

უნდა მოვიგონოთ: რა დავაკელით მიწას, რა არ მივეცით ისეთი, რაც ესაჭიროებოდა და რის მიცემაც შეგვეძლო... უნდა აღვნიშნოთ ეს ჩვენი დანაშაული იმიტომ, რომ მომავალი წლისათვის მაინც არ დავივიწყოთ.

მიხწევათა აღნიშვნა და გაშუქება კი დაგვანახვებს იმას, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ, რანაირმა მუშაობამ მოგვცა ესა თუ ის სასურველი შედეგი და მეტი დოვლათი. ეს არ დაგვავიწყებს სამომავლო მუშაობას, მას კიდევ გამოვიყენებთ და კიდევაც გავაუმჯობესებთ.

და ამაზე გონიერი უქმე, დღესასწაული განა შეიძლება სხვა რომელიმე?!

ამ დღესასწაულში, ახალგაზრდებო, ყველაზე ძლიერად თქვენ უნდა ჩაებათ, რადგან ძალიან ბევრის გაკეთება შეგიძლიათ და უნდა გააკეთოთ კიდეც. სწორედ თქვენნა გაქვსთ ყველაზე ძლიერი ძალა და სურვილი ახალი ცხოვრების შექმნის, და მოსავლის დღეც სწორედ ამ ცხოვრების დღესასწაულია.

ამ დღეს ყველა შეკავშირებული უნდა დახვდეთ: სამეურნეო წრე, პიონერები, კომკავშირელები, სკოლა და სხვანი.

მთელი სოფელი უნდა გრძნობდეს ამ დღის სიდიადეს და მნიშვნელობას.

მერე, როგორ უნდა მიახწიოთ ამას?

**უნდა გამართოთ სამეურნეო გამოფენები;** გამოჰფენთ ყოველივე იმას, რაც ღირსშესანიშნავად მიგაჩნიათ. ასეთი შეიძლება იყოს **1. ხორბლეუ-**

**ლის** საუკეთესო ჯიშები, უმთავრესად ის, რომელიც თქვენს მხარეში საუკეთესო მოსავალს იძლევა ან შეიძლება საუკეთესო, გავრცელებულ ჯიშზე უფრო კარგი მოსავალი მოგვცეს, მაგალითად, პური, საუკეთესო სათესლე სიმინდის ტაროები, ღომი, ფეტვი, ლობიო და სხვა. 2. **საუკეთესო ბოსტნეული**, უფრო ისეთი მეურნეობიდან, რომელიც ჩვეულებრივ მეურნეობაზე უკეთესი იყო რაიმე გაუმჯობესების წყალობით. 3. **საუკეთესო ხილი**: ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ატამი, მანდარინი, ფორთოხალი. 4. კარგად მოვლილი და კარგი ჯიშის **საქონელი**: ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი. 5. ჯიშიანი ფრინველი: ქათმები, ბატი, იხვი, ინდოური. 6. გაუმჯობესებული **სამეურნეო იარაღები**. სოფლის მეურნეობის **მავნებლები** და მათთან ბრძოლის წესები.

გამოფენა რაც შეიძლება ლამაზად უნდა იყოს მოწყობილი. გარეგნული მხარე თვალს უნდა ახალისებდეს და ამხიარულებდეს, შინაარსი კი გულს სიხარულით და იმედით უნდა ავსებდეს, ამასთანავე მნახველს უნდა არწმუნებდეს, რომ შესაძლებელ გაუმჯობესებათა შეტანით მისი მეურნეობაც ფეხზე დადგება.

ეს გამოფენები უფრო გამოყენებითი ხასიათის უნდა იყოს: გლეხკაცმა აქ უნდა ნახოს ის, რის გაკეთებაც მას შეუძლია, რა გაუმჯობესებასაც ადვილად შეასრულებს, უნდა მოისმინოს ის, რასაც ადვილად დაიხსომებს და რაც აღუძრავს უკეთესად ცხოვრების სურვილს.

გამოფენაზე უნდა დაფუსფუსობდეთ, ყველას უხსნიდეთ, ესაუბრებოდეთ, მოხსენებებს კითხულობდეთ და თქვენი მუშაობით ირგვლივ სიხარულს ჰფენდეთ.

განა მარტო გამოფენაა საქმე? სრულიად ადვილად შეგიძლიათ ჩაატაროთ **სათესლე მასალის გაუმჯობესების კამპანია**. ჩვენი კალოდან აკრეფილ ხორბალში 25% სარეველ მცენარეთა თესლი და მაგნე ნაყოფი ურევია. ჩვენი გლეხიც თავის მინდორში ასეთ ხარჯიან პურსა სთესავს. ამის გამო მოსავლიანობა ერთი-ორად ეცემა. **ხარჯიანი პური** დათესილი მინდორი დღიურზე თუ 20—25 ფუთს პურს იძლევა, **დარკვეულით** დათესილი 40 ფუთ საუკეთესო ხორბალს მოგვცემს. **ამიტომ ამ დღეს უნდა აამუშაოთ ყველა სარკვევი მანქანები**, ტრიერები. უნდა აიძულოთ ყველა, რომ სათესლე ხორბალი დაარკვიოს. თქვენვე უნდა შეხვიდეთ გლეხის ოჯახში, მეტადრე ქვრივ-ობლებთან ავსოთ ტომრები და მიიტანოთ ტრიერთან. უნდა აუხსნათ სარეველების მიერ მოყენებული ზარალი, მათთან ბრძოლა... ასევე უნდა ჩაატაროთ სიმინდის გადარჩევა... ყოველივე ამის შესახებ არსებობს ლიტერატურა, წიგნები, პლაკატები... აბა, დაფიქრდით, დარკვეული თესლით თესვა რამდენ შემოსავალს მისცემს სოფელს.

**რამდენი ფრინველია** ისეთი, რომელსაც სოფლის მეურნეობისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. მერე, ჩვენ ვზრუნავთ მათთვის? ძალიან ნაკლებად, უფრო კი არა. თქვენ კი დაკეთეთ მათთვის ბუდეები, პატარა ქოხები და მოპფინეთ ამ პაწაწინა სახლებით ბაღები, ხეები.

ეხმარება მამას...

არამცთუ მრავალი ფრინველია სასარგებლო, არამედ მწერიც, მაგალითად **ჭია-მაია**... ამ მწერთა შესახებაც სთქვით, ამცნეთ ხალხს მათი სარგებლობა...

ჩვენი მოსავალი **ხშირად მრავალი მავნებელი მწერისაგან** ნადგურდება და ჩვენში კი ნაკლებ ეწევიან მათთან ბრძოლას. ამიტომ ეს დღეს გამოაცხადეთ მავნებლებთან ბრძოლის დღედ: დასუფთავეთ ხის ტანი, შემოარტყით მწერთა საპერი სარტყელი, უწამლეთ...

დადგით **აგრონომიული პიესები**, გამართეთ საუბრები... ერთი სიტყვით, ამ დღეს ავსეთ სოფელი თქვენი ძლიერი და იმედიანი ხმით... ყოველი გზაჯვარედინი, ყოველი კუთხე სოფლისა უთქვენოდ უნდა ლაპარაკობდეს **წარწერებით, პლაკატებით, ლოზუნგებით**, სურათებით.

სოფლიდან სოფლამდე, გზის პირებზე დასვით **ბოძები წარწერებით და სურათებით**... ბოძები ყოველ ერთ კილომეტრზე უნდა იყოს... ამით მამიდასაც ნახავთ და კვიცსაც გახედნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ წინასწარ შეემზადეთ ამ დღისათვის, წინასწარ დაიპირეთ თადარიგი, დარაზმეთ ყველა. მუშაობაში ჩააბით დიდი და პატარა, მეტადრე გამოცდილი და დაფიქრებული გლეხკაცი, აგრონომი, მისი თანაშემწე, აგრონომიული პუნქტის გამგე, სახელმწიფო მამულში მომუშავენი, მასწავლებელი და ყოველი მცოდნე და სოფლის მოპირნახულე.

არავის არ დაერიდოთ დიდი დღის რაც შეიძლება კარგად ჩასატარებლად. ნუ შეგეშინდებათ სიძნელის, მაგრამ მეც რას ვამბობ: როდის შეგშინებიათ კარგი და სასარგებლო საქმეზე ფიქრის დროს?

ამ დღის კარგად ჩატარებით, ამ დღის დაკანონებით გლეხკაცი წელში გასწორდება, სახელმწიფოც მოდონიერდება.

**მაშ ასე: მიიჩნიეთ მოსავლის დღე თქვენ დღესასწაულად და აავსეთ სოფელი ზეიმით და სიხარულით.**

**ნ. კეცხოველი.**

# ფოტოგრაფიის გამოგონება

75 წლის წინეთ გარდაიცვალა ფოტოგრაფიის გამომგონებელ ლუი დაგერი.

მხოლოდ 1839 წელს, ე. ი. 87 წლის წინეთ, გამოაქვეყნა საყოველთაოდ ლუი დაგერმა თავისი გამოგონება.

მაშასადამე, 90 წელზე ნაკლებია, რაც კაცობრიობა სარგებლობს ფოტოგრაფიული აპარატით.



ლუი დაგერი.

ამ მოკლე დროს განმავლობაში ლუი დაგერის გამოგონებამ ცხოვრებაში ბევრი სხვა დიდებული გამოგონება გამოიწვია.

კინო მხოლოდ ცოცხალი ფოტოგრაფიაა, მხოლოდ განვითარებაა დაგერის ფოტოგრაფიისა. და კინოს მნიშვნელობა კი დღითი-დღე იზრდება.

ფოტოგრაფიის განვითარებას წარმოადგენს აგრეთვე ცინკოგრაფია, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა წიგნების დასურათება.

90 წლის წინეთ ვის შეეძლო წარმოედგინა თანამედროვე წიგნი. ათასნაირ გამოგონებათა სურათები, ილუსტრაცია ტექსტში, სურათები წიგნის წინა გვერდზე, ყდაზე—ყველა ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ დაგერის გამოგონების მეოხებით.

ფოტოგრაფია გამოიყენეს, რომ ცინკზე გადაეტანათ სხვადასხვა სახეები და გაეკეთებინათ კლიშეები, საიდანაც იბეჭდება სურათები ათასობით და მილიონობით.

დაგერის ფოტოგრაფიის განვითარებაა აგრეთვე ფოტო-კერამიკაც (ფოტოგრაფია ფაიფურზე), ხრომოლიტოგრაფია (ფერადი სურათებისათვის) და მრავალი სხ.

დაგერის გამოგონებას, გარდა იმისა, რომ მან გზა გაუხსნა კაცობრიობას მრავალ სხვადასხვა გამოგონებისათვის, თვითონაც დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის.

ფოტოგრაფია ახლა ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენ მას შევეჩვიეთ და ნაკლებ ვიფასებთ. მაგრამ ვის შეეძლო უწინ, დაგერის გამოგონებამდე, სურათის შეძენა? მხოლოდ მდიდრებსა და მმართველ კლასს შეეძლო დამტკბარიყო მხატვრების ხელოვნური ნაწარმოებით, ახლა კი ყველას შეუძლია მორთოს თავისი ოთახი სხვადასხვა სურათებით. დიდებული მხატვრების შემოქმედება ღია ბარათების საშუალებით მილიონობით ვრცელდება ხალხში. ფოტოგრაფიამ ხელოვნება გაადემოკრატიულა, ხელმისაწვდომი გახადა მასისათვის.

ვის შეეძლო უწინ, არ ემოგზაურა შორს ქვეყნებში და ენახა შორეული ქვეყნების და უცხო ხალხების ყოფაცხოვრების სურათები? ახლა კი, დაგერის გამოგონების მეოხებით, ჩვენ ყოველი ფეხის გადადგმაზე ვხედავთ ამგვარ სურათებს წიგნებსა და ღია ბარათებზე.

აბა, გაიარეთ ძველი სურათების გალერეიაში. განა ბევრ სურათს ნახავთ უბრალო ადამიანებისას?

იქსულ მეფეების, მარკიზების, გენერლების და ბანკირების სურათებია. ახლა კი ყველას შეუძლია გადაიღოს თავისი სურათი, ირუქოს თავის მეგობარს, თვითონაც შეინახოს მახლობელი ადამიანის სურათი და სხვ.

თანამედროვე ცხოვრების წარმოდგენა უფოტოგრაფიოდ ისევე შეუძლებელია, როგორც უტელეფონოდ, უტელეგრამოდ, ურკინიგზოდ.

ფოტოგრაფია შეიჭრა ცხოვრებაში, შეიჭრა აგრეთვე მეცნიერებაშიც. თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია გვერდი აუქციოს ფოტოგრაფიას.

თანამედროვე ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, არქეოლოგებს და სხ. არ შეეძლებოდათ დაეველოთ მოკლე ქვეყნიერება და თვითონ თავისი თვალით მოეხდინათ დაკვირვება იმ მხარეებში, რომლების შესწავლაც საჭირო იყო მათი შრომისათვის. საამისოდ მათ არ ეყოფოდათ მათი სიცოცხლე.

ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს უწევს მათ ფოტოგრაფიით გადაღებული სახეები და ფოტოგრაფიას ხშირად უფრო მეტი უპირატესობა აქვს მეცნიერისათვის, ვიდრე საკუთარი თვალით ნახულს.

1894 წ. საფრანგეთის ელჩმა საბერძნეთში, გრომ, თავისი სილამაზით განთქმული ათინის აკროპოლის [1]) სურათი გადაიღო. აკროპოლი ბევრს უნახავს, ბევრჯერაც გამოუსახავთ ხელოვანთ მრავალ სურათზე, მაგრამ გრომ მაინც ერთი რამ აღმოაჩინა ისეთი, რაც უწინ არავის მოსვლია აზრად: როდესაც გადიღო, მან დაიწყო თავისი სურათის გამადიდებელი შუშით თვალიერება და დაინახა ზედ ერთ ადგილას ლომი, რომელიც გველს ჰგლეჯდა. გრო გაკვირვებული იყო, ეს სურათი მას სრულიადაც არ დაუნახავს, როდესაც აკროპოლს ათვალიერებდა. გრომ მაშინვე შეამოწმა ეს ადგილობრივად და აღმოჩნდა, რომ ფოტოგრაფიამ მართალი სთქვა. აკროპოლის ერთ ქვაზე არის გამოხაზული ამნაირი სურათი, მაგრამ შეუიარაღებელი თვალისათვის იგი უჩინარია.

ეს კიდევ ცოტაა: აღმოჩნდა, რომ ეს სურათი ეგვიპტური ხასიათის სურათია და არა ბერძნული. ეს ამტკიცებს, რომ აკროპოლის ასაშენებელი ქვების ნაწილი გადმოტანილია ძველი ეგვიპტური შენობიდან.

ბევრს ამნაირ, თვალისათვის უჩინარ, საგანს ჰხდის თვალსაჩინოდ ფოტოგრაფია. ძველ ხელნაწერებში თვალხილული ტექსტის ქვეშ კიდევ უფრო ძველი, თვალისათვის უჩინარი, ტექსტი არის: ის წაშალეს, რომ სუფთა პერგამენტზე ახალ ენაზე ახალი ასოები და სიტყვები დაეწერათ. ძველი ხელნაწერისაგან დარჩენილი იყო ძლივს შესამჩნევი ცვალა, თვალისათვის შეუნშნავი. ფოტოგრაფიამ გამოაჩინა კარავა და ძველ ზღაპარს, სიმღერას, სიბერეს, სიმარო მოწოდებას გაეცნო თანამედროვე ადამიანი.

არა ნაკლებ როლს თამაშობს ფოტოგრაფია სხვა დარგებშიც.

ფოტოგრაფიის დახმარებით აღმოაჩინეს მილიონი ვარსკვლავები ცაზე, მანამდის თვალისათვის უჩინარი. ფოტოგრაფიული სურათის გადაღების მეთხებით გაიგეს, როგორ ჩნდებიან, როგორ ვითარდებიან და როგორ ისპობიან ქვეყნიერებანი.

ფოტოგრაფიის საშვალებით გადაღებული მზე.

ფოტოგრაფიამ დაანახვა ხალხს მარიხის არხები, შეასწავლა მზე და ის, თუ რა ცვლილებები ხდებოდა მთვარეზე.

მაგალითისათვის ავიღოთ შემდეგი საინტერესო დაკვირვება:

1879 წ. 9 აპრილს ამერიკელმა ასტრონომმა გულდმა რამოდენიმეჯერ გადაიღო მარიხის სამხრეთის პოლუსი. 24 საათის შემდეგ მან ისევ გადაიღო რამოდენიმეჯერ ისევ ის ადგილი.

რა აღმოჩნდა? პირველ სურათზე მარიხის პოლუსზე სჩანდა პატარა ლაქა და ირგვლივ დიდი მუქი მიდამო. მეორეზე-კი მუქი მიდამოს მაგივრად თეთრი დიდი ადგილი იყო: მარიხზე თოვლი მოვიდა. ის,

[1]) ძველი ათინის ციხე-სიმაგრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ასტრონომებმა დიდი შრომა და ცდები მოანდომეს და მაინც ვერაფერი გაიგეს, ფოტოგრაფიამ ოცდაოთხ საათში გამოარკვია.

ფოტოგრაფია შესაძლებელად ხდის—ადამიანმა შეისწავლოს მსოფლიო თავისი მზეებითა და პლანეტებით, რომლებიც ჩვენ დედამიწაზე მილიონჯერ უფრო დიდებია.

ფოტოგრაფია გვაძლევს აგრეთვე საშვალებას, შევისწავლოთ ცხოვრება და ვითარება დაუსრულებელად პაწია ინფუზორიებისა და ბაქტერიებისა, რომლებიც ფუსფუსებენ ჩვენს ირგვლივ, რომლებითაც სავსეა ჰაერი და წყალი, მაგრამ ისეთი პაწაწინები არიან, რომ ჩვენ მათ ვერ ვამჩნევთ. ფოტოგრაფიული ფირფიტა კი გვაჩვენებს მათ. სურათზე ჩვენ ვხედავთ, როგორ მრავლდებიან და როგორ ახოცებიან ეს პაწაწკინა არსებანი. ბევრ ამ პაწია არსებას დიდი ვნება მოაქვს. ინფუზორიებს მოაქვთ ადამიანისათვის სახადი, ხოლერა და სხვა ავადმყოფობანი. ფოტოგრაფიის მეოხებით ადამიანმა ისწავლა როგორ ებრძოლოს და როგორ დაამარცხოს ისინი.



ადამიანის სხეულის განკვრეტა ფოტოგრაფიით.

ამჟამად ფოტოგრაფიული სურათის საშუალებით შესაძლებელი გახდა ადამიანის განკვრეტა. ჩვენ ვერ ვხედავთ, რა ხდება ადამიანის შიგნით, მაგრამ ფოტოგრაფია ხედავს და გვაჩვენებს გულის, ფიქვის, სისხლის მუშაობას, ძვლებს და შეგვიძლია გავიგოთ, რით არის ადამიანი დასნეულებული და რანაირი დახმარება მას სჭირდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფოტოგრაფიას ადამიანისათვის და დიდი დამსახურება მიუძღვის ამ გამომგონებელს ჩვენს წინაშე.

ვინ იყო ლუი დაგერი და როგორ მუშაობდა ის?

ლუი დაგერი დაიბადა 1787 წელს. პატარაობისას მას უყვარდა ხატვა და სწავლობდა ჯერ სამხატვრო სკოლაში ორლეანში, შემდეგ მაშინდელ ცნობილ მხატვარ დაგოტტისთან. ბუნებრივი ნიჭი და კარგი მხატვრული აღზრდა-განათლება თითქოს იმის მომასწავებელი იყო, რომ დაგერი ხელოვანი გამოსულიყო.

მართლაც, დაგერი წინ წავიდა მაშინდელ ხელოვან მხატვართა შორის და იმ დროს დიდ ხელოვან მხატვარ-დეკორატორად ითვლებოდა.

მაგრამ 1822 წელს ის უცვებს სტოვებს ტილოსა და ფერადებს და მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობს აღმოაჩინოს ისეთი საშუალება, რომ მოახერხოს და გადაიღოს ყოველნაირი სანახაობა.

მას, რასაკვირველია, დასცინოდენ, არავინ არ უჭერდა მხარს. მახლობლები თავზარდაცემული იყვნენ: ეგონათ, ჭკუაზე შეიშალაო.

1827 წელს პარიზის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტთან მივიდა ლ. დაგერის ცოლი და ტირილით ეკითხებოდა მას: როგორ ფიქრობთ, შეიშალა თუ არა ჩემი ქმარიო?

დაგერი, როგორც ნიჭიერი ხელოვანი, ბევრ ფულს შოულობდა მხატვრობით და უცვებ მიატოვა თავისი ხელოვნება რაღაც უაზრო, ქიმერული ოცნებისათვის. განა ეს სიგიჟე არ იყო? როგორი დახმარება იყო მისთვის საჭირო? რა უნდა ექნათ?

მაგრამ ვერც მახლობლების მწუხარებამ, ვერც სხვების დაცინვამ ვერ შეარყიეს დაგერი. ის განაგრძობდა თავის მუშაობას ჯერ მარტო, შემდეგ კი, 1829 წლიდან, ნიეპსთან ერთად; როდესაც 1833 წ. ნიეპსი გარდაიცვალა, დაგერი ისევ მარტო მუშაობდა.

14 წლის შეუსვენებელი, შეუდრეკელი შრომის შემდეგ აღმოჩენა მზად იყო. კიდევ სამი წლის დავიდარაბის შემდეგ 1839 წ. მან თავისი გამოგონება გამოაქვეყნა, რაც თანამედროვე სწავლულების მიერ დიდებულ გამოგონება იქნა აღიარებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშთა შემოქმედება

## პიონერთა ამოქახილი.

ხელში მიპყრია სამართლის დროშა,
აი, ვარდისფრად გაწითლებული.
და მივილტვი წინ სწავლისაკენა,
გულით და სულით გახარებული.
მე ვერ შემიპყრობს ცრუ ანგარება,
მესმის, რომ იგი არის წყდეული
და ამისთვისაც მას გვერდსა ვუქცევ,
ჭეშმარიტ სწავლის მაქვს სიყვარული.
აჰა, იხილეთ წითელი დროშა,
ზედ კარლ ლიბკნეხტი არს დახატული.
აწ ხელთ მიპყრია ნორჩ პიონერსა
და წინ მივილტვი აღტაცებული.
უკან ბრბო მომდევს პიონერების,
სუყველა მათგანს აქვს ხსნილი გული,
მოდის, ვით ტალღა, ოქტომბრისაკენ,
იქ ოქტომბერი არს მოქარგული.
წინეთ სად იყო ჩემგვარი გლეხი
ასე ზეიმით გახარებული?
ან სად სწავლობდა გლეხი სკოლაში,
სად იყო ტოლად ის მიღებული!!

**გორგი მარტაშვილი.**

---

## ჩვენი სიმღერა.

მომავალი თაობა ვართ,
დღითიდღე ვიფურჩქნებით.
ერთ დროშის ქვეშ დარაზმულნი
მოვალთ ტკბილ-ტკბილი ხმებით.

ჯერ ნორჩი ვართ პიონერნი,
გავიზრდებით, რა ვიქნებით?
ახალ სიმღერის ძახილში
ვიშლებით და ვიფურჩქნებით.

გაუმარჯოს ჩვენს მომავალს,
ჩვენს გაზრდას და აყვავებას,
გაუმარჯოს წითელ დროშას
და მის ქვეშ ჩვენს დამშვენებას,

პიონერი **ანა ნემსაძე.**

---

## წითელარმიელის სიმღერა.

ჩვენ ვართ ღარიბი გლეხის შვილები,
ღარიბ ოჯახში გამოზრდილები,
მტარვალებისგან ვიჩაგრებოდით
როგორც ჩვენ, ისე ჩვენი მშობლები.

მაგრამ ბოლო დროს გვიღიმა ბედმა:
გამეფდა მშრომელთ ხელისუფლება.
დამარცხდენ მტრები, პარაზიტები,
და გლეხმა იგრძნო თავისუფლება.

გაქრა ძველი დრო, როცა მუშები
მტარვალთ ბრძანებით ჰხოცდენ თავის ძმებს,
დატრიალებდენ მუდმივ ბრძოლის ველს
და უკფიავდენ იმით გზას ჩვენ მტრებს.

დღეს სკოლაში ვართ, წითელი ჯარი,
და გვეხილება სუყვილას თვალი.

პიონერი **დ. გველესიანი.**

---

## სალამი წითელ არწივებს!

სალამი წითელ არწივებს,
სულნათელთ, გულით კეთილებს,
იმ ჰაღაროსნებს,
გულით ფოლადებს,

რომელნიც ჰქროდენ,
თავს დასჩხაოდენ,
მედგრად ებრძოდენ
ქვეყანას ძველსა.

ვეღარ გაუძლეს,
ფეხთ ქვეშ დაეცენ,
თვითმპყრობელები,
მჩაგვრელნი, ბნელნი.

კიდევაც შესძლეს,
სიცოცხლეც სწირეს,
და დრო დაგვიდგა—
ბნელი გაფრინდა.

და სანატრელმა
სიომ დაჰქროლა,
ბნელი ჩაჰქოლა,
და გაანათა
ბნელი ქვეყანა.

იმ ჰაღაროსნებს,
რომლებმაც შესძლეს,
სიცოცხლის წირვით,
ბნელის ჩანგრევა,
ახლის აღდგენა,

მქუხარე სალამს,
გულის გალავანს,
ვუძღვნით ჩვენ,
ნორჩნი, ახალგაზდობა,

ჩაგრული ქვეყნის მომავალები,
და მათ ნაპოვარს,
ბრძოლით ნაშოვარს,
აწ ჩვენ გავუწევთ
მძლავრ მფარველობას.

**გ. ცქვიტინიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

(მოთხრობა სამოქალაქო ომიდან).

ბრძოლის ალმურში გახვეულა მინდორ-ველი. ველებზე საზარლად დაუღიათ ხახა ზარმაცნებს. ცეცხლი ეხვევა სახლებს. ტარა-ტარა-ტარა,—კაკანებს ტყვიისმფრქეველი. გრგვინავს, სკდება ყუმბარები! აი, სანგრებში წითლები იბრძვიან თავისუფლებისათვის, უტევენ ყვითლებს, შავრაზმელებს; ჰა, მტრის ჯარმა ვერ გაუძლო შეტევას და დასტოვა ბრძოლის ველი.

—

ღამეა. ყვითლების შტაბში არაჩვეულებრივი ხრაფუტაა.

— ჩვენ წითლებს ვერ მივეპარებით, ისინი საშიშნი არიან, ვერ გავუმკლავდებით, თუ ალყას შეშოვარტყავთ!—ცხარობს ყვითლების ჯალიარშერეული გენერალი.

— არა! არა!—ყვირის პატარაწვერიანი მეორე გენერალი,—ასე შეუძლებელია! ეს ხომ დამარცხებაა! არა, არა! შემოვარტყათ იმ ძაღლებს ალყა და ამოწყვეტოთ!

გადაწყდა წითლებისათვის ალყის შემორტყმა! და გაიცა განკარგულება ამისი შესრულებისა.

მოგრამ არ სძინავს პატარა კოტეს. მან ყველაფერი მოისმინა, რადგან ყვითლების შტაბი მის სახლშია: კოტეს მამა მათი თანამგრძნობია.

„გასაპირშია წითელი ჯარი“,—გაიფიქრა კოტემ. „უნდა უსათუოდ მივეხმარო“—გადასწყვიტა და წამოდგა ტახტიდან, ფეხაკრეფით გაიარა ოთახი და გაიღო ფანჯარა.

ვარსკვლავის შუქზე გაარჩია ხეზე მიყუდებული ჯარისკაცი.

„ალბად სძინავს“,—გაიფიქრა კოტემ და ჩუმად დაეშვა მიწაზე. შემდეგ ბალახში ჩაწვა და ხოხვით გაიარა ეზო, გასცდა მოდარაჯე ჯარისკაცს და მოულოდნელად დაეჯახა მეორე, მოვლემარე ჯარისკაცს. ჯარისკაცი წამოვარდა და თოფი ანგარიშმიუცემლად გაისროლა... ტყვიამ ჰაერში გაიზუზუნა... მთელი შტაბი ახმაურდა და ასტყდა თოფების გრიალი.

კოტე თავდამართში მირბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წითელთა ბანაკისაკენ.. უცებ ქვას წამოედვა და მიწაზე გაიშლართა, მაგრამ ისევ წამოხტა და გზა განაგრძო. ამ დროს შენიშნა გზის მარჯვენა მხარეზე ხიშტები.. სიბრულს უკლო და თხრილს ხოხვით გაჰყვა; მაგრამ მტერს არ გამოეპარა ეს ხმაურობა და დაახლეს თოფები.

კოტეს შხუილით გადაუარა ათმა ტყვიამ. ყვითლებს უკვე ალყა შემოერტყათ წითლებისათვის.

— ა..ა..ა...ა,—იკბინა კოტემ თითზე, როდესაც მეორე ადგილას დაინახა ჯარისკაცთა თავები; მოუარა მეორე მხრით მათ და სირბილით გაემართა წითელთა ბანაკისაკენ. .

— ეხლა კი ახლოსა ვარ!

ვერ დაათავა სიტყვა, რომ მოესმა: „შეს დექ!“.

კოტემ გადასძახა: „საშველად მოველ, ალყას გარტყავენ ყვითლები!“

— „ვინ? რაო? ჯაშუშია ალბად!“—გადასძახა ერთმა წითელარმიელმა მეორეს და თოფმომარჯვებულნი მიუახლოვდენ კოტეს, წაავლეს ხელი და ბანაკისაკენ წამოიყვანეს; როდესაც წარუდგინეს უფროსს, კოტემ უთხრა მას: „ალყას გარტყავენ ისინი“.

— ვინ?—იკითხა უფროსმა.

— ყვითლები,—იყო პასუხი.

— კეთილი!—წარმოსთქვა უფროსმა და ბავშს წითელი მედალი ჩამოკიდა, ნიშნად მადლობისა.

წამოდგა ლეგიონი დაიძრა, დასტოვა ეს მიდამო.

კოტე უფროსს გვერდით მიჰყვებოდა.

— სმენ!—შესძახა უფროსმა.—„ჩვენ მტრები ალყას გვარტყავენ, ჩვენ მათ ამ პატარა გმირის წყალობით გავექეცით. ახლა კი თვით ჩვენ მოვუაროთ და ალყა შემოვარტყათ!“

ჯარისკაცნი გაიფანტენ და მტრის ალყას ალყა შემოარტყეს.

თენდებოდა. შავრაზმელები მზად იყვნენ საბრძოლველად დ ფიქრობდენ, რომ ალყაში მოქცეულ წითლებს სიკვდილი და ამოწყვეტა არ ასცდებოდათ; ამ დროს უკანიდან ასტყდა სროლა: წითლების ალყამ დაუშინა მტერს უწყალოდ ტყვია. ანაზდეულ დაცემას და ცეცხლს ვერ გაუძლო ყვითლების ჯარმა; ისინი უფრო დაადფრთხო წითლების თავზარდამცემი ცხენოსნების დანახვამ და მორჩილების ნიშნად აიფრიალეს თეთრი დროშები.

დამარცხდა შავი მტერი, გაიმარჯვა მუშახალხმა, წითელმა არმიამ.

მტერზე გამარჯვებას ზეიმობდა მშრომელი ერი და კოტეც სიხარულით ხტოდა.

**პიონერი ნიკოლოზ ცხაკაია.**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# მეცნიერება და ტექნიკა

**ყველაზე უდიდესი ხის მილი ქვეყნიერებაზე.**

ჩვენი საუკუნე ლითონის საუკუნეა. ხის ნაწარმოებთა ადგილს სისწრაფით იპერს ლითონის ნაწარმოები. მაგრამ ყველგან ასე არ არის. შეეციაში, ნორვეგიაში, შეერთებულ შტატებში ძალიან გავრცელებულია ხის წყალსადენი მილები, რომლებიც გაჰყავთ რკინის მილების მაგივრად.



ხის მილი.

ჩრდილო კალიფორნიაში (შეერთებულ შტატებში) ახლახან დაასრულეს ხის უდიდესი მილის აშენება. მისი დიამეტრი უდრის 4,8 და სიგრძე 400 მეტრს. ამ მილით გაჰყავთ წყალი ჰიდრო-ელექტროს სადგურისათვის. წუთში ამ მილში გადის 87 კუბ. მეტრი წყალი.

მილი გაკეთებულია 10 სანტიმეტრის სიგანისა და 15 სანტიმეტრის სიგრძის ფიცრებისაგან. ფიცრები სიმკვრივისათვის გაკეერნილია კრეოზოტით[1]). ფიცრებს ყოველი 8 სანტიმეტრის შემდეგ აქვს რკინის სალტეები

რისთვის აკეთებენ ამნაირ მილებს? რა საჭიროა ამდენი შრომის გაწევა, რკინის სალტეებით შემოვერა? განა უფრო ადვილი არ არის რკინის მილის გაკეთება?

ხის მილები რკინისაზე უფრო იაფი ჯდება, უფრო ადვილი შესაფარდებელია მიწის ზედაპირის ოლროჩოლრო ადგილებთან და დიდი ყინვებიც ვერაფერს აკლებს.

ხის წყალსადენ მილებს ამატომაც აკეთებენ ჩრდილოეთ ქვეყნებში.

**ზღვის წყლისაგან გაკეთებული ოქრო.**

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ამერიკელმა ტრედუელმა ზღვის წყლისაგან ოქროს მილების ახალი საშუალება გამოიგონა.

ზღვის წყალში გახსნილია მრავალი ლითონი: რკინა, ოქრო, ვერცხლი და სხვ. მაგრამ ძალიან ცოტა არის. ერთ ტონა (63 ფუთ.) ზღვის წყალში არის გახსნილი 50 მილიმეტრი ოქრო ($^1/_{8000}$ ნაწილი 1 გირვანქისა). ერთი ტონა წყლისაგან ასეთი ცოტა ოქროს ამოღება ამდენ ხანს დიდ სიძნელეს წარმოადგენდა და ძვირად ჯდებოდა.

ახლა ტრედუელის გამოგონებამ უმწვერვალესად გაიაიფა ზღვის ტალღებიდან ოქროს ამოღება.

როდესაც გამოიანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ ტრედუელის საშუალებით ზღვის წყლიდან ოქროს ამოღება ჯდება 18% უფრო იაფი, ვიდრე მთის ფენებში ოქროს ძებნა.

ოკეანეს წყლისაგან ოქროს ამოსაღებად ამერიკაში შესდგა დიდი საამქიონერო ამხანაგობა. ეს ამხანაგობა უკვე აშენებს სპეციალურ ქარხანას.

ფიქრობენ, ამ ქარხანაში მოაწყონ აგრეთვე ზღვის წყლიდან რკინისა და ვერცხლის ამოღების საქმეც.

**ფიქრების გადაცემა უსიტყვოდ და უნიშნებოდ.**

ლენინგრადში ადამიანის ტვინის შესასწავლ ინსტიტუტთან დაარსებულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც იკვლევს, შესაძლებელია თუ არა ფიქრების გადაცემა შორს მანძილზე უსიტყვოდ და უნიშნებოდ.

ამ კომისიას სათავეში უდგას ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფესორი ბეხტერევი. ასეთი დიდი მეცნიერია და ასე უბრალოდ კარგავს დროსო,— ფიქრობდენ მაშინ, როდესაც ის შეუდგა იმ საკითხის შესწავლას, შესაძლებელია თუ არა შორს მანძილზე ერთმა ადამიანმა მეორეს შეატყობინოს თავისი ფიქრები უსიტყვოდ და უნიშნებოდ.

ბევრი დაკვირვებისა და ცდების შემდეგ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ დაარწმუნეს მოწინააღმდეგენი, რომ ფიქრების გადაცემა უსიტყვოდ და უნიშნებოდ შესაძლებელია.

მაგრამ როგორ ახერხებდა ერთი ადამიანი მეორე ადამიანისათვის ფიქრების გადაცემას, ამისი ახსნა შეუძლებელი იყო.

ფიქრობდენ, რომ როდესაც ადამიანი ფიქრობს, მისი ტვინი ავრცელებს განსაკუთრებულ ენერგიას. ეს ენერგია მოდის თავის ძვლებიდან, გადადის ჰაერში და შედის მეორე ადამიანის თავის ძვლებში და ტვინში.

ამასწინეთ იტალიელმა მეცნიერმა კაცალამმ შესანიშნავი ცდა

[1]) კრეოზოტი — ერთგვარი ნივთიერებაა.

გააკეთა. ეს ცდა სწორედ ადასტურებს მეცნიერების ფიქრებს.

კაცალამიმ გააკეთა ისეთი კამერა, სადაც არავითარ გარეშე მოელენას არ შეუძლია შეატანოს. კამერაში ჩასვეს გიპნოზშთაგონებული ადამიანი. შთამგონებელი ხან აძინებდა მას უაზროდ, ხან აგონებდა მას ფიქრებს.



აკადემიკოსი ბეხტერევი და პროფეესორი ვასილიევი.

გიპნოზით დაძინებული ადამიანს თავზე განსაკუთრებულ მუზარადს ახურავენ. მუზარადს უერთებენ ძლიერ რადიომიმღებს; რადიომიმღებს—ტელეფონებს. როდესაც გიპნოზით დაძინებული ადამიანი ფიქრობდა, ტელეფონი რეკდა, როდესაც ფიქრს თავს ანებებდა—ტელეფონში არავითარი ხმაურობა აღარ ისმოდა.

რატომ რეკს ტელეფონი? იმიტომ, რომ რადიომიმღები ითვისებს რაღაც მოძრაობას, რომელიც გაჩნდა გიპნოზით დაძინებული ადამიანის თავში ფიქრის დროს, მაშასადამე, ფიქრს მოძრაობაში მოჰყავს რაღაც რადიოტალღები.

კაცალამის ცდები თუ დამტკიცდა, მეცნიერებას დიდი და ახალი პერსპექტივები გაეხსნება.

ჩვენ სურათზე აკადემიკოსი ბეხტერევი და პროფ. ვასილიევი აკეთებენ ცდებს, რომ შეამოწმონ კაცალამის ცდები.

## ᲐᲛᲝᲛᲬᲧᲓᲐᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐ.

ამ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში რუსეთში სხვადასხვა ადგილას იპოვნეს ამომწყდარი ცხოველების ძვლები. ნაპოვნი ძვლები ყინულოვანი ხანის ცხოველებს ეკუთვნის. ეს იყო რამოდენიმე ათიათასეული წლის წინეთ.

მთელ დედამიწას ჯერ ნელნელა ჰფარავდა ყინული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და შემდეგ ყინული თანდათან დნებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

როდესაც ყინული სამხრეთისაკენ მიიწევდა, ცხოველები და მცენარეებიც ინაცვლებდენ ადგილს სამხრეთისაკენ და როდესაც ყინული დნებოდა, ისევ ჩრდილოეთისაკენ მიიწევდენ.

ნიჟეგოროდის გუბერნიაში იპოვნეს მამონტის ძვლები. მამონტი პირველყოფილი სპილოა. მაგრამ ის სპილო თანამედროვე სპილოზე ბევრად დიდი იყო, ვეება ეშვები ჰქონდა და დაფარული იყო გრძელი ბეწვით. იქვე იპოვნეს უზარმაზარი ირმის ძვლები. ეს ირემიც ბევრად უფრო დიდია ჩვენი დროის ირემზე. მის რქების წვერებს ძირის მანძილი 4 მეტრს უდრის.

იქვე იყო ბეწვიანი მარტორქის ძვლები.

ძვლები ნახეს 18 საჟენის სიღრმეში, მიწის ქვეშ. რამდენი დრო დასჭირდებოდა, რომ ასეთი დიდი ფენი დასდებოდა!

მამონტის ეშვი.

ქ. კრასნოდარის მახლობლად იპოვეს მღვიმეში მცხოვრები დათვის ძვლები. ამ მხეცის თავი ბევრად უფრო დიდია ცხენისაზე.

წარმოიდგინეთ დათვი, რომელსაც ცხენის თავზე უფრო დიდი თავი აქვს, თვითონ ბევრად უდიდესია თანამედროვე დათვზე, ვეება საშინელი კბილები აქვს—და მიხდებით, რა საშინაარ ცხოველებთან უხვდებოდა ბრძოლა პირველყოფილ კაცს. იმათ ხომ არ ჰქონდათ ვინტოვკები და ტყვიები, მხოლოდ ჯოხებით და ქვებით იყვნენ შეიარაღებულნი.

მოსკოვის ახლოს იპოვნეს მამონტის კბილი და კბილთან ორი ქვა; ეტყობოდა, ისინი ადამიანის მიერ იყო გალესილი. იქნება იქ იყო პირველყოფილი ადამიანის სადგომი. იქნება ამ გალესილი ქვებით ჰგლეჯდენ პირველყოფილი ველური ადამიანები მოკლული მამონტის ხორცს. ეს ნაპოვნი საინტერესოა კიდევ იმით, რომ ამდენ ხანს ფიქრობდენ, მამონტი არასოდეს არ ცხოვრობდა მოსკოვის გუბერნიაშიო.

ხარკოვში სახლს აშენებდენ. საძირკველის ჩასადგმელად ღრმად გათხრეს მიწა და იქაც ნახეს მამონტის ძვლები. სჩანს, ოდესღაც ამ ადგილებში დაძრწოდენ მამონტების, უცნაური ბეწვიანი სპილოების, ჯოგები. ახლა კი ხალხით სავსე ამბაურებული ქალაქებია.

როგორ იცვალა სახე დედამიწამ!

## როგორ იქნა გამოგონებული ავტომობილი.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში თქვენ ნახავთ ჯუჯა ავტომობილს და ვეება გიგანტ ავტომობილს. ავტომობილი ჩვენ დროში ძალიან გავრცელებულია. ამერიკაში—შეერთებულ შტატებში—18 მილიონი ავტომობილი მუშაობს. ავტომობილები ამერიკაში და ევროპაში რკინის გზას უწევენ მეტოქეობას.

დიდი ხანი არაა, რაც გამოუშვეს ავტომობილი—მატარებელი. ბერლინში ხმარებაში შემოიღეს ავტომობილი-ტრამვაი. ერთი სიტყვით, ულიანდაგო გზა მძლავრად ებრძვის ლიანდაგიან გზას.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ავტომობილი იქნა გაკეთებული? მხოლოდ 39 წელიწადი. მომავალ წელს გერმანია აპირებს იდღესასწაულოს ავტომობილის 40 წლის თავი. პირველი ავტომობილი გააკეთა გერმანელმა ინჟენერმა ბენცმა. ეს იყო სამბორბლიანი ავტომობილი, იმისი ძალა უდრიდა ნახევარი



პირველი ავტომობილი.

ცხენის ძალას და სისწრაფე საათში 15 კილომეტრისა ჰქონდა. პირველი ავტომობილის ამშენებელი ჯერ კიდევ ცოცხალია, ინჟინერი ბენცი ამჟამად 82 წლის არის.

იმისი პირველი ავტომობილი ამჟამად ქ. მიუნხენის მუზეუმში ინახება (იხ. ჩვენ სურათზე).

**ავტომობილების გამოფენა.**

ამერიკელებს ძალიან ეხერხებათ რეკლამების მოწყობა. მაგრამ ამერიკაშიაც ვაკვირვა ხალხი ახალმა რეკლამამ ავტომობილის შესახებ.



ავტომობილი—გამოფენა გარედან

გამოფენა ავტომობილში

ააშენეს უზარმაზარი ავტომობილი. ბორბლებიც კი მაღალი ადამიანის უმაღლესი აქვს. შიგნით ამ ავტომობილში არის ამერიკული სხვადასხვა ფირმების მიერ გამოშვებული ავტომობილები, როგორც ნიმუშები.

შედიხარ ავტომობილში და უცებ გამოფენაზე კი ამოჰყოფ თავს. ორიგინალური გამოფენა!

**პაწია ავტომობილი.**

შეიძლება „ავტომობილის“ ფეხებზე გაკეთება?

რა სულელური კითხვაა! განა ავტომობილი გოგრებიანი გლესია? [1] ასე გიპასუხებსთ ყველა.



პაწია ავტომობილი

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ასეთი ავტომობილი უკვე გამოიგონეს გერმანიაში. სულ ადვილად შეიძლება იმისი ფეხზე გაკეთება. ორ ამისთანა ძრავზე შეიძლება შედგეს კაცი და, როგორც გოგრებიანი გლესით, იაროს ქალაქის ქუჩებზე და გზატკეცილებზე. ამ ავტომობილის სისწრაფე 22 კილომეტრს უდრის საათში. დიდრონ ავტომობილებს ამოძრავებენ ბენზინით. მაგრამ ავტომობილების პაწია მოძმეებს კი ამოძრავებენ აცეტილენით.

ეს გამოგონება დიდ მიხწევად ითვლება ავტომობილის საქმეში.

[1] გლესი—коньки.

**ფორდის ახალი აეროპლანები.**

ცნობილი ამერიკელი ავტომობილის ინჟინერი ფორდი, განაგრძობს თავისი გამოგონების განვითარებას.



ფორდი თავისი პატარა აეროპლანით

როგორც ვიცით, მის ქარხნებში მუშაობის ვითარება გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მთელი ქვეყნიერება. რასაკვირველია, ადევნებენ თვალყურს საბჭოთა კავშირშიაც, სადაც ისწრაფვიან ისარგებლონ ფორდის ყოველი გამოგონებით სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

ფორდის მიერ გამოგონებული ავტომობილები და აეროპლანები აუარებელი მზადდება მის ქარხნებში და ძალიან იაფი ღირს.

ჩვენ სურათზე თვითონ ფორდი სდგას მის მიერ გამოგონებულ პატარა იაფფასიან აეროპლანთან. ფორდს აზრად აქვს გამოუშვას ამნაირი აეროპლანები ყოველდღე ათიათასობით.

თავის ახალ გამოგონებას ფორდმა სახელი მაინცდამაინც ღამაზი არ დაარქვა — „ჰაერის ტილო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი

## წითლები და თეთრები.

ბავშები ორ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი წითლებს წარმოადგენს, მეორე კი თეთრებს. ჯგუფები მოედნის შუაგულზე მწკრივებად დგებიან ერთმანეთის პირდაპირ, ხუთი ნაბიჯის მანძილზე ერთი-მეორისაგან. მოედნის ბოლოებში, ორივე მხრივ, აღნიშნულია ხაზით ჯგუფების ბანაკები.

ხელმძღვანელი ან ერთი მოთამაშეთაგანი ხელში ილებს ფირფიტას ან ბრტყელ ქვას, რომელიც ერთი მხრივ წითლად არის შეღებული და მეორე მხრივ კი თეთრად და აისკრის ზევით; ზოგორც კი ფირფიტა მიწაზე დაეცემა, ხელმძღვანელი ხმამაღლა წამოიძახებს იმ ფერს, რომელიც ზევით მოექცა.

ნაჩვენები ფერის ჯგუფი უნდა დაედევნოს მეორე ჯგუფს, ხოლო ეს უკანასკნელი კი თავდაცვის მიზნით გარბის თავისი ბანაკისაკენ.

თუ შეტევაზე გადასულებმა მოასწრეს თავისი მოწინააღმდეგეების დაჭერა, ვიდრე ისინი თავიანთი ბანაკის საზღვარს მიახწევენ, ტყვეებად წაიყვანენ; თუ არა, მაშინ ისევ ბრუნდებიან უკან თავიანთ ადგილებზე და თამაშს განაგრძობენ.

გამარჯვებული რჩება ის ჯგუფი, რომელსაც თამაშის დასასრულს მოწინააღმდეგეთა მეტი რიცხვი აღმოჩნდება ტყვედ წაყვანილი. თამაშის დროს დაშვებულია ტყვეების გაცვლა-გამოცვლა.

## პიონერები და უპატრონო ბავშები.

ამისი თამაში შეუძლია ბავშთა დიდ რიცხვსაც, რაც მისი კარგი ღირსებაა. გარდა ამისა, იგი ძლიერ ცოცხალია და მხიარული.

ერთ მოთამაშეთაგანს, რომელიც კარგი მარბენალია, აქვს ფეხბურთი, რომლითაც სვრის დანარჩენებს.

ეს მოთამაშე ითვლება პიონერთა რაზმის ორგანიზატორად, ყველა დანარჩენი კი წარმოადგენენ უპატრონო ბავშებს.

ის, ვინც ჩაჭრილი იქნება ფეხბურთის გარტყმით, პიონერი ხდება.

თამაში მიმდინარეობს იმ დრომდე, ვიდრე ყველანი პიონერებად არ გადაიქცევიან.

# გ ა ს ა რ თ ო ბ ი

## გასართობი № 1.

| | | | |
|---|---|---|---|
| — | ა | — | — |
| — | ა | — | — |
| — | ლ | ა | მ |
| — | ა | ფ | — |
| — | ა | დ | ო |
| — | ა | ა | — |
| — | ლ | — | — |
| — | ი | ო | ნ |

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი

აქ დასმული ხაზების მაგიერ ჩასწერეთ ასოები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ოთხკუთხედებში ზევიდან ქვევით გამოვიდეს სახელი და გვარი ერთ-ერთი ბელადის, გასწვრივ კი სიტყვები.

## შ ა რ ა დ ა

ამოვთხაროთ ორმო, ბიკო,
მოვუმართოთ ჭახრაკები,
წყალი ვზიდოთ კასრებითა,
არ გვქონია აქ ხრიკები...

——

ახლა ნახე კიდობანი!
პურს გაჰკვრია რაღაც მწვანე;
გადაფხიკე დანის წვერით,
და საქმელ პურს დაამგვანე.

—

შარადაში აისახა
მყრალი წყალი, ტბორედ მდგარი,
თქვენი სოფლის ახლოს სადმე
თუ დაგუბდა წვიმის წყალი,
გაჩნდებიან ბაყაყები
და ციებაც, ის ავთვალი.

**დ. კარბელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრიდან

# გამოვა 1926 წ. გამოვა

## ტრკვირეული საუმაწვილო დასურათებული

## ჟურნალი

მოზრდილთათვის

# პიონერი

წელიწადი 1

(„წითელი სხივი“-ს მაგიერ)

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ:

## პიონერი

მიიღება ხელის მოწერა. ჟურნალი ღირს გადაგზავნით

წელიწადში—5 მან.

ექვს თვეს—3 მან.

სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნოვერი—25 კაპ.

**მისამართი:** ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—25/IX—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტ № 1325. შეკვ. № 10697/1776. ტირაჟი 3000.